საქართველო — უპირველეს ყოვლისა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის მე-100 წელი

იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვები სიფცვაა, ფაფიულებით და ჭიერებით ბეჭთის გაფანა ყვეფა უკერისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 12 მაისი. 2018 წ. №98-99 (8499-8500), | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ბიძინა ივანიშვილი:

სიცრუის პროპაგანდის ზრდამ ქვეყანა ლამის თავზე დაგვაქცია!

გუშინ „ოცნების“ მეხუთე, რიგგარეშე ყრილობაზე პარტიის თავმჯდომარედ ბიძინა ივანიშვილი აირჩიეს. მილიარდერი ქველმოქმედის „მეორედ მოსვლა“ საიმედო სიახლეებს გვპირდება! მივყვეთ გუშინდელი თავყრილობის პერიპეტიებს...

„ქართულმა ოცნებამ“ პოლიტსაბჭო დაამტკიცა

„ქართულმა ოცნებამ“ ყრილობაზე პოლიტსაბჭოს შემადგენლობა დაამტკიცა. ესენი არიან: **გიორგი კვირიკაშვილი, კახა კალაძე, ირაკლი კობახიძე, თამარ ჩუგოშვილი, გიორგი ვოლსკი, ილია ნაკაშიძე, არჩილ თალაკვაძე, მამუკა მდინარაძე, დიმიტრი სამხარაძე, ირაკლი ტრიპოლსკი, ბიძინა გეგიძე.**

წარმატებით დავასრულეთ საკონსტიტუციო რეფორმა!

ხელშესახები პროგრესი გვაქვს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და სამართალდამცავი ორგანოების დეპოლიტიზირების კუთხით, — განაცხადა „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა სიტყვით გამოსვლისას. მისივე თქმით, წარმატებით დასრულდა საკონსტიტუციო რეფორმის პროცესი.

„წარმატებით დავასრულეთ საკონსტიტუციო რეფორმის რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესი და იმ კონსტიტუციის ნაცვლად, რომელიც ფორმალურად ამართლებდა ერთი ადამიანის მარადიულ მმართველობას, მივიღეთ ხალხის მმართველობაზე ორიენტირებული ევროპული სტანდარტის ძირითადი კანონი. ეს კონსტიტუცია საქართველოს შეუქცევადი დემოკრატიული პროგრესის საყრდენი და წინაპირობაა“.

დღეს, ისე როგორც არასდროს, თავისუფალი და დაცულია ბიზნესი, აღარ არსებობს ელიტური კორუფცია!

საქართველოში დღეს სრულად დაცული და ხელშეუხებელია ერთ-ერთი მთავარი სოციალური ინსტიტუტი, ადამიანის თავისუფალი განვითარების ძირითადი საფუძველი — კერძო საკუთრება, რომელიც წინა ხელისუფლების დროს ფეხქვეშ გათელილი და განადგურებული იყო.

ბიძინა ივანიშვილმა ეკონომიკური მაჩვენებლები მიმოიხილა და აღნიშნა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობამ შარშან საქართველოს ისტორიაში რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია.

„ბოლო ხუთი წლის მონაცემებით, ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, საქართველო ლიდერობს რეგიონში, ხოლო სავალუტო ფონდის ბოლო განახლებული მონაცემებით, მომავალი ექვსწლიანი ეკონომიკური ზრდის პროგნოზით, საქართველო ლიდერია არათუ რეგიონში, არამედ ევროპის და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორისაც“...

საქართველო არასოდეს ისე დაახლოებული არ ყოფილა ევროპასთან და ნატოსთან, როგორც ამჟამად

ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა პარტიის ყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, თვალშისაცემია წინსვლა საგარეო მიმართულებით.

— „ჩვენ ერთიანი ევროპული ოჯახის ასოცირებული წევრები ვართ და ეს ფაქტი უკვე იურიდიულადაც დადასტურებულია. ამოქმედებულია ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის და უვიზო მიმოსვლის რეჟიმი, რომლითაც უამრავმა ადამიანმა ისარგებლა. საგრძნობლად განმტკიცდა და გაღრმავდა ურთიერთობა ჩვენს სტრატეგიულ მოკავშირესთან ამერიკის შეერთებულ შტატებთან...

ნაწილობრივ უკვე მოვახერხეთ რუსეთთან ურთიერთობის დეესკალაცია!

— ჩვენ ნაწილობრივ უკვე მოვახერხეთ რუსეთთან ურთიერთობის დეესკალაცია და ვიმედოვნებთ, რომ საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით, შესაძლებელი გახდება ურთიერთმოსმენისა და დიალოგის რეჟიმზე გადასვლა, რაც ჩვენი სახელმწიფოებრივი ამოცანების ნაბიჯ-ნაბიჯ მიღწევის პერსპექტივებს შექმნის, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

იხ. 2 გვ.

აზერბაიჯანი თავის მიწაზე სომხეთის მეორე სახელმწიფოს შექმნას არ დაუშვებს!

„სომხეთ-აზერბაიჯანის, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გადაჭრა მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ნორმებზე და პრინციპებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს. აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობა სრულად უნდა აღდგეს. გაეროს უშიშროების საბჭოს ოთხი რეზოლუცია უნდა შესრულდეს. ამ რეზოლუციებში ღიად მითითებულია, რომ საოკუპაციო ძალები უპირობოდ უნდა იქნან გამოყვანილი დაპყრობილი მიწებიდან. კონფლიქტის გადაჭრის სხვა გზები არ არსებობს. აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობა არასოდეს ყოფილა და არასოდეს იქნება მოლაპარაკების საგანი. აზერბაიჯანელი ხალხი და სახელმწიფო აზერბაიჯანის მიწაზე სომხეთის მეორე სახელმწიფოს შექმნას არ დაუშვებს“, — განაცხადა ილჰამ ალიევმა.

ვის გამოაბრუნებენ ევროკავშირიდან? 6

როგორ გადაარჩინა ქართველმა ჯარისკაცმა ებრაელი მეგობარი? 4

მედიკამენტების გაიაფების ნამდვილი გზა თუ ფუჭი მცდელობა 9

ბიძინა ივანიშვილი:
სიცრუის პროპაგანდის ზრდამ ქვეყანა ლამის თავზე დაგვაქცია!

დესტრუქციული მუხტი და ხელისუფლების შიგნით ქვეყნის ინტერესების დამაზიანებელი გაუგებრობები

პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა ყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას პოლიტიკაში დაბრუნების მიზეზებზე ისაუბრა. ბიძინა ივანიშვილის თქმით, ქვეყანა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას.

ვინც ახლოს მიცნობს, კარგად იცის, რომ ეს ჩემთვის საკმაოდ რთული გადაწყვეტილება არც ხელისუფლების, არც „ქართული ოცნების“ და მით უმეტეს, არც ჩემი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე არ მიმიღია. ისევე, როგორც 2012 წელს, მიზანი ახლაც უცვლელია, საქართველოს, საქართველოს ხალხისა და თითოეული ოჯახის კეთილდღეობა და ღირსეული მომავალი.

რატომ ვბრუნდები პოლიტიკაში, მაშინ, როცა რამდენიმე წლის წინ საჯაროდ განვაცხადე, რომ ამ გადაწყვეტილებას მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში მივიღებდი? რატომ გადავწყვიტე ახლა, კვლავ ჩავუდგე სათავეში იმ პოლიტიკურ პარტიას, რომელიც 2012 წელს დავაფუძნე და ჩემს ხალხთან ერთად შევასრულე ჩემს ცხოვრებაში ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე საპატიო მისია, დავამარცხე და დარწმუნებული ვარ, ქვეყნის მართვას საბოლოოდ ჩამოვაშორე მოძალადე და ხალხის მჩაგვრელი ხელისუფლება

პირველი მიზეზია ობიექტურად არსებული არასახარბიელო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ამ ისედაც რთული ვითარების კიდევ უფრო მძაფრ, ხელოვნურად დამძიმებულ ფერებში წარმოჩენის განუწყვეტელი მცდელობები. **მეორე,** ოპონენტების უმრავლესობისგან მომდინარე უკიდურესად დესტრუქციული მუხტი და ბოლოს, **მესამე,** ხელისუფლების შიგნით არსებული, მართალია, სუსტი, მაგრამ სრულიად არასაჭირო, უსაფუძვლო და ქვეყნის ინტერესების დამაზიანებელი გაუგებრობები.

ჩვენი მოქალაქეები თავისუფლები და სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი თვითნებობისგან დაცული არიან

დღეს საქართველოს მოქალაქეები რეალურად თავისუფლები და სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი თვითნებობისგან დაცული არიან,დღეს საქართველოში დემოკრატიული გზით ირჩევენ ხელისუფლებას და თავადვე ანიჭებენ მას სახელმწიფოს მართვის ლეგიტიმაციას.

— დღეს საქართველოს მოქალაქეები რეალურად თავისუფლები და სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი თვითნებობისაგან დაცული არიან. შეგახსენებთ, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სწორედ ეს იყო ჩვენი ხალხის ერთ-ერთი მთავარი ეროვნული ამოცანა. ისინი დემოკრატიული გზით ირჩევენ დღეს ხელისუფლებას და თავადვე ანიჭებენ მას სახელმწიფოს მართვის ლეგიტიმაციას, დღეს ჩვენ გვყავს არა არჩევნების გაყალბებით, დაშინებითა და ძალადობით მოსული, არამედ ხალხის ნდობის საფუძველზე შერჩეული, ცხადია, არა უნაკლო, მაგრამ, რაც მთავარია, ადამიანზე, როგორც მთავარ ღირებულებაზე ორიენტირებული ხელისუფლება. ამის თვალსაჩინო მაგალითს, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საყოველთაო ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა წარმოადგენს...

ხელისუფლების შიგნით დაიწყო გარკვეული დაპირისპირება, რაც გასცდა პოლიტიკური გუნდისთვის მისაღებ დემოკრატიულობას!

ქვეყნის წინაშე არსებული მრავალი გამოწვევის ფონზე, ხელისუფლების შიგნით დაიწყო გარკვეული დაპირისპირება, რაც გასცდა პოლიტიკური გუნდისთვის მისაღებ დემოკრატიულობისა და აზრთა სხვადასხვაობის საზღვრებს და სწორედ ეს არის მესამე მიზეზი, რის გამოც მე პოლიტიკაში ვბრუნდები, — ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა.

როგორც პარტიის ყრილობაზე ივანიშვილმა განაცხადა, დაუშვებელია, პირადი უთანხმოებისა და წყენის გამო საერთო პარტიული და მით უმეტეს ეროვნული ამოცანების შესრულებისთვის თუნდაც მცირე დაბრკოლების შექმნა.

„მტკიცედ მჯერა, რომ ჩვენ არ გვაქვს უფლება, ფუჭ კინკლაობაში, თუნდაც უმნიშვნელო დრო, ენერგია და რესურსი დავხარჯოთ. დაუშვებელია, პირადი უთანხმოებისა და წყენის გამო, საერთო პარტიული და მით უმეტეს ეროვნული ამოცანების შესრულებისთვის თუნდაც მცირე დაბრკოლების შექმნა. მე ვიგრძენი, რომ ჩემს მიერ შექმნილი პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“, რომლის იდეოლოგიური მდგრადობა მის სახალხოობაშია, ამ პროცესების გაღრმავების შემთხვევაში დაშორდებოდა ხალხს. ამიტომ გადავწყვიტე დაბრუნება, დიახ, მეორედ შემოსვლა საჯარო პოლიტიკაში“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა, რომელმაც აქვე აღნიშნა, რომ საქართველო ისტორიული გარდატეხის მომენტში იმყოფება და ახლა უიმედობის დრო არ არის.

„ჩვენ დღეს მხოლოდ გამარჯვების უფლება გვაქვს“! — დასძინა ბიძინა ივანიშვილმა.

როცა შენს ხალხზე, ქვეყანაზეა ლაპარაკი და ვითარება გადაწყვეტილების შეცვლას ითხოვს, გაჯიუტება საკუთარ თავთან არასწორია!

დიახ, მომიწია იმ თანამიმდევრობის დარღვევა, რომლის შესახებაც პოლიტიკაში შემოსვლისთანავე განვაცხადე, მაგრამ როცა შენს ხალხზე, ქვეყანაზეა ლაპარაკი და ვითარება გადაწყვეტილების შეცვლას ითხოვს, გაჯიუტება საკუთარ თავთან არასწორია...

საქართველომ ბოლო წლების განმავლობაში განიცადა დემოკრატიული ტრანსფორმაცია, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია.

— ვიდრე უშუალოდ პოლიტიკაში ჩემი დაბრუნების მიზეზებზე გადავიდოდე, რამდენიმე სიტყვით ჩვენი ერთად განვლილი გზა მინდა მიმოვიხილო. დღეს არ ვაპირებ ხელისუფლების საქმიანობასა და მოღვაწეობაზე ვრცელი და დეტალური ანგარიში წარმოვადგინო, მით უმეტეს, რომ ეს არ არის ჩემი პრეროგატივა, მაგრამ თავს ვალდებულად მივიჩნევ, რომ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით და სიამაყითაც კი, ხაზი გავუსვა იმ ფუნდამენტურ სახელმწიფოებრივ გამარჯვებებს, რასაც ხელისუფლებამ ისტორიულად ძალზე მოკლე დროში, არასრულ ექვს წელიწადში მიაღწია.

პირადად ჩემთვის და დარწმუნებული ვარ, საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია ის დემოკრატიული ტრანსფორმაცია, რომელიც ქვეყანამ განიცადა ბოლო წლების განმავლობაში.

ქვეყანაში კონკურენტუნარიანი ოპოზიციის დეფიციტია!

მეორე პრობლემა, რამაც დღევანდელი გადაწყვეტილების მიღებისკენ მიბიძგა, ქვეყანაში კონკურენტუნარიანი ოპოზიციის დეფიციტია.

„მეორე პრობლემა, რამაც დღევანდელი გადაწყვეტილების მიღებისკენ მიბიძგა, ქვეყანაში კონკურენტუნარიანი ოპოზიციის დეფიციტია. ჩვენი ოპონენტების უღირსი ნაწილი ხელისუფლებასთან არგუმენტირებული მეტოქეობის, გონივრული, უკეთესი ალტერნატივების შეთავაზების და დასაბუთებული კრიტიკის ნაცვლად, შეპყრობილია მხოლოდ ანტიდემოკრატიული რევანშის წყურვილით, ისინი ერთმანეთს ქვეყანაში უპერსპექტივობისა და უიმედობის ატმოსფეროს დანერგვაში ეჯიბრებიან, რადგან ვერ ხედავენ დემოკრატიული პროცედურებით ხელისუფლებაში მოსვლის პერსპექტივას.

— ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან არა უკეთესი პროგრამების წარმოდგენაში, არამედ ქვეყანაში უპერსპექტივობისა და უიმედობის ატმოსფეროს დანერგვაში, რადგან კარგად იციან, რომ მხოლოდ ეროვნული პესიმიზმია მათი ის ერთადერთი პლაცდარმი, რომლიდანაც შეძლებენ ქართულ დემოკრატიაზე შურისძიებას. ხალხის ნდობის არქონის გამო, ისინი ვერ ხედავენ დემოკრატიული პროცედურებით ხელისუფლებაში მოსვლის პერსპექტივას და ამიტომაც ცდილობენ ისეთი განწყობის შექმნას, როდესაც არეულობა სიტუაციის შეცვლის ერთადერთ გზად უნდა მოეჩვენოს ხალხს“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ჩემთვის სრულიად ნათელია, რომ სწორედ ამ და ქვეყნის წინაშე არსებული სხვა მრავალი გამოწვევის ფონზე, ხელისუფლების შიგნით დაიწყო გარკვეული დაპირისპირება, რაც გასცდა პოლიტიკური გუნდისთვის მისაღებ დემოკრატიულობისა და აზრთა სხვადასხვაობის საზღვრებს და სწორედ ეს არის მესამე მიზეზი, რის გამოც მე პოლიტიკაში ვბრუნდები.

ზედმიწევნით კარგად ვიცი, რა სირთულეების წინაშე დგას დღეს რიგითი მოქალაქე!

— ზედმიწევნით კარგად ვიცი, რა სირთულეების წინაშეა დღეს რიგითი მოქალაქე. ჩვენ ხომ ჯერ კიდევ ვერ დავაღწიეთ თავი იმ ეკონომიკურ სიდუხჭირეს, რომელშიც დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე განვითარებული, მათ შორის, სისხლიანი კატაკლიზმების შედეგად აღმოვჩნდით. ჯერ კიდევ არ გვქონდა მოშუშებული სამოქალაქო ომის იარები, როდესაც ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში ჩავებით, რასაც შედეგად რუსული ოკუპაცია და მასობრივი დევნილების ორი ტალღა მოჰყვა. სწორედაც რომ თანამედროვე სახელმწიფო მართვის ტრადიციის არქონის კვალდაკვალ დაწყებულმა ქაოსმა უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური ვარდნა გამოიწვია ქვეყანაში და სიღარიბე მასობრივ მოვლენად აქცია. დღემდე მწვავეა უმუშევრობის, ხოლო დასაქმებულთათვის არასაკმარისი ხელფასის, აგრეთვე პენსიების პრობლემა, სამწუხაროდ, ძვირდება ცხოვრება...

მედიის თავისუფლების ხარისხის მკვეთრმა ზრდამ სიცრუისა და პროპაგანდის მანქანის ძალიან დიდი სიმძლავრით ამუშავება განაპირობა!..

მედიის თავისუფლების ხარისხის მკვეთრმა ზრდამ, რაც ჩვენი ხალხის განსაკუთრებული მონაპოვარი და გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ უშუალოდ არსებული ხელისუფლების დამსახურებაა, უამრავ სიკეთესთან ერთად, განაპირობა სიცრუისა და პროპაგანდის მანქანის ძალიან დიდი სიმძლავრით ამუშავება.

„რიგი პოლიტიკური პარტიების მიერ მართული ტელევიზიები, პოლიტიკოსები და ექსპერტები მიზანდასახულად ნერგავენ უიმედობის ატმოსფეროს და ცდილობენ, დააჯერონ ხალხი, რომ მთავრობა თითქოს არაფერს აკეთებს, რომ ქვეყანა ინგრევა, ლამის აპოკალიფსი მოახლოვდა და ყოველივე ეს არის ამ ხელისუფლების საქმიანობის შედეგი, რომელიც თითქოს არაფერს აკეთებს მდგომარეობის გამოსასწორებლად“, — განაცხადა მან, რომელმაც აქვე აღნიშნა, რომ შეჭირვებული და სიდუხჭირით დაღლილი ადამიანები ოსტატურად შეფუთულ ტყუილებს ადვილად იჯერებენ. მისივე თქმით, საქართველოში დღეს ადამიანთა ცნობიერებაზე არნახული საინფორმაციო იერიში მიმდინარეობს.

* * *

„ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი ქვეყნის, ქართველთა ცნობიერების, რწმენის, იმედის გადარჩენისთვის ბრძოლას თავიდან იწყებს. რა თქმა უნდა, ძალიან დაგვიანებულია, მაგრამ... სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!

ერთადერთი გასათვალისწინებელი კომენტარი ნინო ბურჯანაძისა...

თუ არ იცის, ვეუბნები, რომ ქვეყანაში ძალიან მაღალია ელიტური კორუფცია და კარგად დააკვირდეს თავის გარემოცვას — ეს განცხადება, „დემოკრატიული საქართველოს“ ლიდერმა გააკეთა. ნინო ბურჯანაძემ ბიძინა ივანიშვილის მიერ პარტიის ყრილობაზე სიტყვით გამოსვლის დროს გაკეთებული განცხადებები შეაფასა.

მისი თქმით, ივანიშვილი საუბრობდა იმ საქართველოზე, რომელიც არ არსებობს, რადგან ქვეყანაში არათუ გამოსწორდა ეკონომიკური მდგომარეობა, არამედ დამძიმდა. ნინო ბურჯანაძემ ივანიშვილის იმ განცხადებაზეც გაამახვილა ყურადღება, რომელიც ქვეყნის ევროინტეგრაციას ეხებოდა.

„საუბარი იმაზე, რომ საქართველო ასე ახლოს ევროპასთან და ნატოსთან არასდროს ყოფილა, ჩემთვის სევდიანად სასაცილოა. იმიტომ, რომ მე ძალიან კარგად მახსოვს ის პერიოდი, მართალია, მაშინ უვიზო მიმოსვლა არ იყო, მაგრამ ძალიან კარგად მახსოვს ის პერიოდი, როდესაც საქართველოში არსებული პრობლემები, პირველ რიგში, აფხაზეთში და სამაჩაბლოში არსებული პრობლემები და თავად საქართველო, ყველა საერთაშორისო ფორუმის მთავარ დღის წესრიგში გახლდათ“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ოთარ იოსელიანი: სოჭი ჩემს წინაპრებს ეკუთვნოდა, ორჯონიკიძემ აჩუქა რუსებს. და თუ რუსეთმა ყირიმი წაიღო, მაშინ ჩვენ სოჭი დაგვიბრუნოს!

BBC-ის რუსულმა რედაქციამ გამოაქვეყნა ინტერვიუ ცნობილ ქართველ რეჟისორ ოთარ იოსელიანთან სათაურით — „პოლიტიკა არ შეიძლება ხელოვნების მიზანი იყოს“.

მკითხველის თხოვნით კიდევ ერთხელ გთავაზობთ ინტერვიუს ვრცელ ვერსიას. რამდენიმე დღის წინათ ლონდონში თითქმის ერთდროულად ორი კინოფესტივალი გაიხსნა: პირველი - საბჭოთა პერიოდის „ახალი ტალღის“ ფილმების სეზონი და მეორე — ქართული ფილმების ჩვენება. 84 წლის გამოჩენილი ქართველი და, შეიძლება ითქვას, ფრანგი კინორეჟისორი ოთარ იოსელიანი ორივე ფესტივალს დაესწრო, რომლებშიც მისი ფილმი „გიორგობისთვეც“ მონაწილეობდა. BBC-ის მიმომხილველმა ალექსანდრე კანმა ისარგებლა შესაძლებლობით და ოთარ იოსელიანს გაესაუბრა.

— ოთარ, თქვენ ქართველი რეჟისორიც ხართ და ფრანგიც. როგორც ვიცი, ლონდონში იმიტომ ჩამოხვედით, რომ თქვენი ფილმი „გიორგობისთვე“ საბჭოთა ფილმების ფესტივალს ხსნის... როგორი დამოკიდებულება გაქვთ ამ ფაქტისადმი? არ გრძნობთ უხერხულობას, რომ საბჭოთა კინორეჟისორიც ბრძანდებით?

— იცით, „გიორგობისთვე“, მართალია, საბჭოთა საქართველოში, საბჭოთა ეპოქაშია გადაღებული, მაგრამ ეს ფილმი აკრძალული იყო — მას საქართველოში არ აჩვენებდნენ. სამაგიეროდ, ჩვენების ნება დართეს რუსეთში. დიდ ეკრანზე კი არა, საკლუბო ჩვენებისთვის, ანუ კინოთეატრებში არ გამოსულა — აჩვენებდნენ მხოლოდ კინოს მოყვარულებისთვის. ასეთივე მიდგომა იყო სერგო ფარაჯანოვის, გლებ პანფილოვის, ილია ავერბახის ფილმებისადმი.

ქართველები რაღაცნაირ საზოგადოებას წარმოადგენენ. თქვეს, რომ ფილმის ჩვენება არსად არ შეიძლებოდა და აკრძალეს. რუსებმა კი იფიქრეს და ჩათვალეს, რომ კლუბებში შეიძლებაო. საერთოდ, საბჭოთა კავშირში ცენზურა იყო. ცენზორები კრძალავდნენ, მაგრამ ისინიც ზეწოლის ქვეშ იყვნენ: აბა, არ აეკრძალათ და რაც მოუვიდოდათ, ნახავდნენ. ფილმის გადაღება ბოლომდე მადროვეს, თუმცა იცოდნენ, რომ აიკრძალებოდა.

— თქვენ 1984 წელს საფრანგეთში ყოფნის დროს გადაწყვიტეთ უკან, საბჭოთა კავშირში არ დაბრუნებულიყავით. ალბათ, პერიოდი იყო ისეთი — ქვეყანა ჩამკვდარს, ერთ ადგილზე გაჩერებულს ჰგავდა...

— მოდით, თარიღები დავაზუსტოთ: მე მიმაჩნია, რომ საფრანგეთში 1979 წელს წავედი, ხოლო ფილმი „მთვარის ფავორიტები“ იქ 1983-84 წლებში გადავიღე... საერთოდ, მე ემიგრანტი არასდროს არ ვყოფილვარ. უბრალოდ, 8 წელი უსაქმოდ გაჩერებული ვიყავი, ფილმებს ვერ ვიღებდი. ჰოდა, მივედი სადაც ჯერ არს და ვუთხარი, საფრანგეთში მიმიწვიეს ფილმის გადასაღებად და გამიშვით-მეთქი.

იქ ნიძლავი დადეს, დავბრუნდებოდი თუ არა. ბევრმა წააგო, რადგან მე დავბრუნდი. მერე „პერესტროიკის“ დრო მოვიდა, ფილმების დაფინანსება შეჩერდა, დაიხურა კინოსტუდიები... ისევ საფრანგეთში წავედი. რუსეთში კაპიტალიზმმა ის გამოიწვია, რომ ჰოლივუდს გაეჯიბრნენ ფილმების გადაღებაში. არადა, ჰოლივუდში ყველაზე ცუდ ფილმებს იღებენ. ასე შევრჩი საფრანგეთს, სადაც ფილმების დაფინანსების საოცარი სისტემაა.

— ხშირად გვიწევს იმის მოსმენა, რომ თქვენ მიერ საფრანგეთში გადაღებული ფილმები, „მთვარის ფავორიტებიდან“ დაწყებული, თითქოსდა საქართველოდან ფრანგულ ნიადაგზე გადატანილი ქართული ხასიათებია... არსებობს თქვენში რაღაც ნათესაობა ქართულ-ფრანგულს შორის?

— ალბათ, არსებობს, მაგრამ არა იმ საფრანგეთთან, რომელიც დღესაა. მე 80-იან წლებში ჯერ კიდევ მოვასწარი უკან დარჩენილი საოცარი კულტურის შლეიფი მენახა, რომელიც დღეს აბსოლუტურად გამქრალია. საერთოდ კი, საქართველოდან საფრანგეთში გადასვლისას რაიმე დიდი დანაკარგი არ განმიცდია. სხვათა შორის, ჩემი ფრანგი მეგობრები, სამწუხაროდ, ყველა კომუნისტი იყო. ისე მოხდა, რომ მოსკოვში მხოლოდ კომუნისტ რეჟისორებს იწვევდნენ, ისინი მოსკოვის ფესტივალებზე გავიცანი. ვცდილობდი, მათთვის მეთქვა, რომ ისინი ცდებოდნენ, მაგრამ ეს საკმაოდ რთული იყო. ვცდილობდი, მათ თავებში ჩამეხედა და ჩამენერგა, რომ ისინი რომანტიკულად უყურებდნენ საბჭოთა უმსგავსოებას, რომელშიც ჩვენ ყოველდღიურად ვცხოვრობდით. მინდოდა, მათთვის მეთქვა — გამოფხიზლდით, ბიჭებო!.. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ მე მართალი ვიყავი.

— თქვენს ფილმებში „შანტრაპასა“ და „ზამთრის სიმღერაში“ თითქოს საქართველოა წარმოდგენილი, სადაც სულ მუდმივი ქაოსია: ქვემეხები ისვრიან, ადამიანები ერთმანეთს ხოცავენ...

— მე ვფიქრობ, რომ ქვემეხები საქართველოში კი არა, რუსეთიდან ისვრიან...

— არა, მე არ ვამბობ, რომ ისინი რუსეთისკენ ისვრიან-მეთქი...

— საქართველოში ქვემეხებს სროლა არ შეუძლიათ, იქ არავინაა ისეთი, ვისაც შეიძლება ესროლო.

— ჰო, მაგრამ ხომ იყო სამოქალაქო ომი, აფხაზეთის ომიც...

— აფხაზეთის ომი რუსეთმა გააჩაღა. აფხაზეთი სამთავრო იყო. აფხაზეთი საქართველოს ძველი სახელწოდებაცაა. აფხაზეთის სამთავრო იოსებ სტალინმა ავტონომიურ რესპუბლიკად გადააქცია, ასევე ოსეთიც, რომელიც ავტონომიური ოლქი გახდა, ადრე კი სამაჩაბლო ერქვა. სხვათა შორის, სოჭიც ჩემს წინაპრებს ეკუთვნოდა. სოჭი სერგო ორჯონიკიძემ აჩუქა რუსებს. და თუ რუსეთმა ყირიმი წაიღო, მაშინ ჩვენ სოჭი დაგვიბრუნოს.

— იოსებ სტალინის მიმართ როგორი დამოკიდებულება გაქვთ?

— იოსებ სტალინს მე ვუყურებ როგორც ისეთ ადამიანს, რომელსაც რაღაცის გაკეთება უნდოდა, რაღაცის მიღწევა, მაგრამ არ გამოუვიდა. უნდოდა, ალბათ, რომ მსოფლიო რევოლუცია მოეხდინა და რომ მთელ მსოფლიოში საბჭოთა წყობა გაბატონებულიყო, მაგრამ ვერ მოახერხა. მან კოლოსალური ადამიანური რესურსები დახარჯა და ომი მაინც ვერ მოიგო. არავითარი გამარჯვება არ ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ჟუკოვმა უამრავი ჩვენი თანამემამულე გაწირა, ამერიკა-ინგლისის გარეშე მაინც ვერ გავიმარჯვებდით... საშინელებაა ამაზე ფიქრი.

— მოდი, რეალურ საქართველოზე ვისაუბროთ. სადღაც გაკრთა ცნობა, რომ თქვენ საქართველოში საცხოვრებლად დაბრუნდით...

— მე საქართველოში ვცხოვრობ, საფრანგეთში კი სამუშაოდ დავდივარ...

— როგორი შთაბეჭდილება გრჩებათ დღევანდელ საქართველოზე?

— ვშიშობ, ვაითუ დღევანდელი სიტუაცია შეუქცევადი გახდეს. ჩვენს ისტორიაში ყოველთვის იყო მძიმე პერიოდები, უძველესი დროიდანვე დაწყებული. იყვნენ მონღოლები, სპარსელები, თურქები... ჩრდილოკავკასიელი მთიელებიც გვესხმოდნენ ხოლმე. კოშმარი იყო. საერთოდ კი, საქართველოში მონობა არასდროს ყოფილა და ქვეყანაც ბოლომდე არასოდეს დაქცეულა. ქართული ენის ცოდნა მნიშვნელოვანი საკითხია. ძნელია მისი სწავლა. ჩვენ სულ სამი მილიონი ვართ, მაგრამ ენაც გვაქვს და დამწერლობაც. მსოფლიოში სულ 14 ანბანია, აზრის წერილობითი გადმოცემის 14 საშუალება: ჩინურ-იაპონური იდეოგრამები, არაბული დამწერლობა, ქართული, სომხური და ა.შ. საქართველო ის ქვეყანაა, რომელმაც საკუთარი დამწერლობა შექმნა და ამ დამწერლობის წყალობით ადამიანები ერთმანეთს უგებენ, ძალიან სერიოზულ და ღრმა ნაწარმოებებს ქმნიან.

ამერიკანიზმის შემოჭრა საქართველოში — ეს უკვე რუსული ძალადობა არ არის. ამერიკული ახალგაზრდებისთვის ძალიან მიმზიდველია. ძალიან მეშინია, რომ ეს პროცესი შეუქცევადი არ გახდეს.

http://reportiorige, „ჟვირის პალიტრა“

ბიზნესიდან ონლაინ სესხები არ გაქრალა

ჩვენ მოგვწონს ყველაფერი ის, რაც ბაზარზე ზრდის კონკურენტუნარიანობის ხარისხს და რაც ზრდის ჩვენი მოქალაქეების უფლებების დაცვას — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ საბანკო სექტორის ახალ რეგულაციებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობასთან დაკავშირებით დასმულ კითხვებზე საპასუხოდ.

როგორც მან აღნიშნა, მას არა აქვს იმის მოლოდინი, რომ რეგულაციები მნიშვნელოვნად შეამცირებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობას.

„ვერ დაგეთანხმებით იმაში, რომ ონლაინ სესხები გაქრა, შეიძლება, შემცირების ტენდენცია იყოს, მაგრამ ნამდვილად არ გამქრალა ბაზრიდან. ასევე, ჩვენ ნამდვილად არ გვაქვს იმის მოლოდინი, რომ აღნიშნული რეგულაცია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობას მნიშვნელოვნად შეამცირებს. ვფიქრობ, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა საქართველოში არის აუცილებელი. ისინი წარმოადგენენ გარკვეულ ხიდს მცირე ბიზნესის დაფინანსებისთვის, მაგრამ რაც შეეხება თამაშის წესებს, ის უნდა იყოს საერთო. მინდა, ყველას შეგახსენოთ, რომ, სამწუხაროდ, ფინანსურ სექტორში გვქონდა ასიმეტრიული რეგულაცია, საბანკო სექტორს ჰქონდა განსხვავებული რეგულაცია, არასაბანკო სექტორს — სხვა, ონლაინ სესხების კომპანიებს — სხვა, განსხვავებული რეჟიმი, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ჭარბვალიანობის პრობლემის წარმოქმნას. ვინც არის კონკურენტუნარიანი, ვისაც შეუძლია ბაზარს მიაწოდოს კონკურენტუნარიანი ფინანსური პროდუქტი, გარწმუნებთ, რომ ყველა ეს ორგანიზაცია იქნება წარმოდგენილი ბაზარზე, ხოლო, ვინც დაკავებულია სპეკულაციური საქმიანობით, რა თქმა უნდა, მას მუშაობის სპექტრი შეეზღუდება,“ — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ.

შეხვედრა მსხვილი პორტისა და გადამზიდავი კომპანიის წარმომადგენლებთან

პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი ჩინეთის ლიენიუნგანგის პორტისა და მსოფლიოს ერთ-ერთი მსხვილი გადამზიდავის „კოსკო შიფინგის“ წარმომადგენლობით დელეგაციას შეხვდა.

შეხვედრას ასევე დაესწრნენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გიორგი ჩერქეზიშვილი, „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორი დავით ფერაძე, ანაკლიის განვითარების კონსორციუმის თანადამფუძნებელი მამუკა ხაზარაძე და სხვა ოფიციალური პირები.

შეხვედრაზე საუბარი წარიმართა საქართველოს მონაწილეობაზე „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის პროცესში. აღინიშნა ის დიდი ძალისხმევა, რომელსაც საქართველოს მთავრობა მიმართავს აღნიშნული გლობალური ინიციატივის ფარგლებში ე.წ. შუა დერეფნის განვითარებას, რაც მნიშვნელოვანი სატრანსპორტო - ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში გამოიხატება. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ისეთ პროექტებზე, როგორც ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგური, აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალი, რკინიგზის მოდერნიზების პროექტი, რომელიც არსებული ტვირთბრუნვის გასამმაგების შესაძლებლობას იძლევა, ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო გადასასვლელი და სხვ.

შეხვედრაზე ჩინური მხარის წარმომადგენლებმა ვრცლად ისაუბრეს მათი კომპანიების გეგმებზე საქართველოში, ერთობლივ პროექტებზე, რომელთა მიზანსაც ქვეყნებს შორის ტვირთბრუნვის ზრდა წარმოადგენს.



როგორ გადაარჩინა ქართველმა ჯარისკაცმა ებრაელი მეგობარი?

ბიძაჩემმა სეით ახვლედიანმა ოთხწლიანი სკოლა ჩვენს სოფელში ცაგერაში დაამთავრა და სწავლის გასაგრძელებლად ლაილაშის საშუალო სკოლაში გადავიდა. მაშინ ლაილაში რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა. ათასობით ადამიანი ცხოვრობდა, უმეტესობა — ებრაელი. მათი წყალობით აქ სკოლაც დიდებული იყო, საავადმყოფოც, აფთიაქებიც და უამრავი კეთილმოწყობილი მაღაზიაც. ბაზარი კი ამ სიდიდისა დიდ ქალაქებშიც იშვიათად მოიძებნებოდა. ყველაფერი იშოვებოდა.

სეით ახვლედიანი სკოლაში მისვლისთანავე პირველს, დავით მეგრელიშვილს შეხვდა. მან თავის მერხზე მიიპატიჟა და სკოლაც ერთად დაამთავრეს.

ორმა პატარა ბიჭმა მაშინ არ იცოდა, რომ სკოლაც ერთად უნდა დაემთავრებინათ, ჯარშიც ძმურად, ერთად უნდა ემსახურათ, ჯერ ფინეთთან, მერე კი ფაშისტურ გერმანიასთან ეომათ, ტყვეობის საშინელი დამამცირებელი და მტანჯველი წლებიც ერთად გაეტარებინათ. ერთმანეთის სიცოცხლის ხსნისთვის კი მანამდე არგაგონილი თავგანწირვა და გმირობა ჩაედინათ.

ფაშისტურ ჯარებთან შეტაკებისას ძალები იმდენად განსხვავდებოდა, რომ საბჭოთა არმიის ნაწილები ორი კვირის ბრძოლის შემდეგ დაატყვევეს.

მეგობრები ტყვედ ჩავარდნენ. მაშინ პოლონეთის ტერიტორიაზე იყო მათი ტყვეთა ბანაკი. მოულოდნელად, დილით ადრე, გერმანელებმა ხმაური ატეხეს. ტყვეებს გარეთ ყრიდნენ. იქვე ტყესთან ახლოს, ექსკავატორით ამოთხრილ ორმოსთან ალფავიტის მიხედვით ამწკრივებდნენ, აშიშვლებდნენ და დახურულ ფარდულში შეჰყავდათ. ტყვეებს მედიცინის მუშაკები სასქესო ორგანოზე აკვირდებოდნენ. ებრაელებს ფარდულს გარეთ, ორმოსთან უშვებდნენ, სხვებს კი ბანაკებში აბრუნებდნენ. ებრაელებს რაც ემართებოდათ, ამას ავტომატის ხმა ადასტურებდა...

სეით ახვლედიანი პირველ მწკრივში მოხვდა. შეამოწმეს და მალევე დაბრუნდა... ყველაფერს მიხვდა, გაერკვა. თავის მეგობარს დაუდგა გვერდით, ჩასჩურჩულა... შენი გვარის ამოკითხვისას ფეხს არ მოიცვლი, შენს ნაცვლად მე მივდივარო...

„მეგრელიშვილი დავით“ — ამოიკითხეს. გაიგონა თუ არა მეგობრის გვარ-სახელი, შიშველი სეით ახვდელიანი მწკრივიდან გამოხტა და ტიტლიკანებს შეუერთდა. დავითი კი, დამნაშავესავით გაოგნებული იდგა, ათასი ფიქრით და დარდით: რა დავაშავეთ უნიჭიერესი ერის შვილებმა, სხვაზე ნაკლები სიკეთე ვაკეთეთ კაცობრიობისთვის?!. — გიჟი ფიურერის ბოდვას, რატომ მოჰყვა ამდენი უმანკო სისხლის ღვრა? ამაზე მსოფლიოს ადრევე უნდა ეყვირა!..

დავითი მწკრივებში ახლოს მდგომთა სახეებს აკვირდება. მათ შორის ორი შიშველი ტყვე ოფიცერი იყო, რომლებსაც ტუჩებზე გამაფრთხილებელი ნიშნით თითი ედოთ. ვაი მათ, ვინც გაგცემსო, შენ კი დავით, „თავადს“ (სეით ახვლედიანს) არ მიეკარო. მხოლოდ ჩაიცვიო. ვითომ არაფერი მომხდარა. ყოჩაღ, ვინ ყოფილა ეს „თავადი“, რა მარტივად ჩაიდინა გმირობა და გადაარჩინა მეგობარი. აი, დამთავრდება პროცესი და ნახავთ, მწკრივებში რამდენი უპატრონო ტანსაცმელი დარჩება. განსაკუთრებით მენანება ჩვენი უფროსი. მის გარეშე გაგვიჭირდება. როგორ ვერ მოვიფიქრეთ თუ ამ ხერხით შეგვეძლო მისი გადარჩენა?!! აფსუს!?!!

ორი წლის შემდეგ, საბჭოთა ძალებმა ისე შეუტიეს გერმანელებს, რომ უკან დაიხიეს. ტყვეთა ბანაკები გერმანიის ტერიტორიის სიღრმეში გადაიტანეს. მშვიდობიან ადგილზე ტყვეთა ბანაკების მოწყობის შემდეგ გერმანელებს კვლავ გაახსენდათ ჰიტლერის „მაინ კამფი“ და მოაწყვეს საშინელი შემოწმება.

— იმდენი ავტომატიანი ფაშისტი არა, მაგრამ უფრო მეტი დამხმარე გაავებული ნაგაზები გამოგვიყვანეს. ტყვეები ცემით გამოგვრეკეს. სიის ამოკითხვით დაგვაყენეს მწკრივებში, და მკაცრი ბრძანებით ტანსაცმელი გაგვახდევინეს და იქვე, მწკრივებში დაგვაყრევინეს. სეითმა წინასწარ გააფრთხილა მეგობარი, შენ ფეხი არ მოიცვალო, მე პირველ მწკრივში მიწევს წასვლა და მალე მოვალო...

— გაგიჟდი, რას ამბობ, ბიჭო, სულ კი არ გაგვიმართლებს, გაგვიგებენ და ორივეს დაგვხვრეტენ...

— დაგვხვრეტენ და იქ სამუდამოდ ერთად ვიქნებით. კაი რა, თუ ძმა ხარ, ნუ ხუმრობ, იცოცხლე და თუ გადარჩი, ჩემებს ამბავს მაინც ჩაუტან, დათო! ხმა აღარ ამოიღო, დამთავრებულია, მივდივარ, ეს არ შეიცვლება...

შემოწმებიდან ტყვეები, ვინც გადარჩა, ბრუნდებიან, სეითი კი არ ჩანს... ორი წუთის დაგვიანებაც კი დარდს და შიშს იწვევს, ნეტავ სად არის? რა დაემართა... გიჟდება დავითი. როგორ დაიღუპე თავი, ბიჭო, ჩემი გულისთვის? ხომ გეუბნებოდი, დაგეჯერებინა და ახლა მეც სამუდამოდ დასვენებული ვიქნებოდი... არა, აი, ვიღაც ერთი გამოჩნდა, მაგრამ ეს ვიღაც სულ ჭაღარაა. დავით!.. სეით? ეს შენ ხარ? ბიჭო თმები რამ გაგითეთრა? რა მოხდა?!! რა, და შემამოწმეს, მითხრეს თავისუფალი ხარო, გადმოვდგი ნაბიჯი და ახალგაზრდა ფაშისტმა ხელი მტაცა, სახეზე დამაკვირდა, თავი შემიტრიალა, დამემუქრა და მიმითითა, აქ დადექიო... ეტყობა, მიცნო... იქიდან კი უკან ვერავინ ბრუნდებოდა. შევაგინე: „რა უნდა ამის დედაც-მეთქი“... და უფროსმა წამსვე ჩემსკენ მოიხედა, თან თვალებში ეღიმებოდა. ბოლო ჯგუფიც შეამოწმეს და უმცროსი ფაშისტი უფროსს ეჩურჩულება, თან დასახვრეტებისკენ უთითებს ჩემზე, დახვრიტეთო. უფროსმა ხელი დამიქნია. მივედი, ვიფიქრე, ყველაფერი შავად წავიდა-თქო... მაგრამ უფროსი მეკითხება: ქართველი ყოფილხარ, თქვენში, რომ ლუქსემბურგია, გაგიგონია? კი, როგორ არა, სკოლიდან ექსკურსიაზეც ვარ ნამყოფი-მეთქი. გაეღიმა. იქ მეც ვარ ნამყოფი, ბიძაჩემი და ბიძაშვილები ცხოვრობენ. ერთი თვე დავრჩი მათთან, მცხეთა და კახეთი მომატარეს. დიდებულად ცხოვრობენ, რა ადგილმამულები აქვთ,ყველამ იცის ქართული... როგორ თქვი? რა უნდა ამის დედაო?.. ეს რომ გავიგონე, გამეცინა. ძლივს ქართველი გნახე, შენ როგორ დაგსჯიო. თუ სიცოცხლე მიწერია, თქვენს დიდებულ ქვეყანას კვლავ ვესტუმრები. აბა კარგად!.. მხარზე ხელი დამკრა და გამოვქანდი. ჭაღარა თმები იმ საშინელი წუთების სამახსოვრო დაღია... ჭაღარა არაფერია, ღმერთმა რისკის ფასად შენი თავი კიდევ ერთხელ მაჩუქა. დიდება უფალს, გადავრჩით. აწი აღარ შეგვამოწმებენ, სულ ერთად ვიქნებით!..

გერმანელები ტყვეებს იყენებდნენ დაბომბილი ქალაქების აღდგენით სამუშაოებზე. მათ რიგებში ეძებდნენ ხელოსნებს, ოსტატებს. მათთვის თვალში საცემი გახდა დავით მეგრელიშვილის ნიჭი და ოსტატობა სახლის სახურავების აღდგენის საქმეში. მისი ხელით დამუშავებული რკინა ისეთ ფორმას იღებდა, რომ ფაშისტებს უკვირდათ. იგი გადაიყვანეს სახლის სახურავების შეკეთებაზე. შედეგი ისე მოეწონათ, რომ ოფიცრების დაზიანებული კაბინეტებიც შეაკეთებინეს. დავით მეგრელიშვილს სამუშაო გამოუცვალეს. დაავალეს იარაღით სავსე სარდაფების კარის შეკეთება.

ეს სურათი გასული წლის 9 მაისს, მოსკოვში, პარადზე, დიდი ფორმატით, საზეიმოდ ჩაატარეს. გამარჯვების განწყობას უხდებოდა კიდეც. შეხედეთ ებრაელი დავით მეგრელიშვილი და ქართველი სეით ახვლედიანი — ლაილაშის სკოლადამთავრებულები, მეგობარი ვაჟკაცები. ერთად მსახურობდნენ ჯარში, ერთად იბრძოდნენ ფინეთის ომში, გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ პოლონეთის ტერიტორიაზე და მთელი შენაერთი ერთად ჩაუვარდა ტყვედ ფაშისტურ არმიას. ტანჯვაწამების, შიმშილის და დამცირების პერიოდიც ერთად გამოიარეს ტყვეთა ბანაკში. მათი ფრონტული და ტყვედ ყოფნის პერიოდი სასწაულებითაა სავსე, მაგრამ შეხედეთ, სახეზე რა სიყვარულია დამკვიდრებული მათ შორის. თითქოს არც ერთს არ ეთმობა ერთმანეთი სხვისთვის. წარმოუდგენელია, რომ მათ სახეზე აღბეჭდილი სულისკვეთება ვინმე, ძალიან ნიჭიერმა მხატვარმა კი შეძლოს და ხელოვნურად შექმნას, სულისა და გულის წამოშველებით ერთად ხანგრძლივი ყოფნით და კაცური უღალატობით.

* * *

... — მამა (მაიორს), გუშინ იმდენი საიდუმლო რამეები ვიხილე, სიხარულით ვღიღინებდი. ამ დროს „ფრაუმ“ ჩუმად გამირბინა, უცებ შეჩერდა და მთხოვა, აბა გაიმეორე, რა მელოდიას მღეროდიო. მეც გავიმეორე „ციცინათელა“. ვაი, რა კარგი რამეაო, დაბრუნდა და კიბეზე აირბინა უფროსებთან. ჩამოვიდა და ოფიცრები გეძახიანო... ავედი და აბა გაიმეორე, რას მღეროდიო. გიტარა მომაწოდეს და ვიმღერე. ისე მოეწონათ ფეხზე ადგნენ და ტაში დამიკრეს, რა კარგია, რუსი არ ყოფილხარ, მსგავსი არაფერი მოგვისმენიაო. ვინ ხარ, ქართველიო? აბა კიდევ ერთხელ გვიმღერე, მით უმეტეს, უნტერ ოფიცრის დაბადების დღეაო... ვუმღერე „სულიკო“. კონიაკის ჭიქა და შოკოლადები მომაწოდეს. ეს რა კარგი მომღერალი გვყოლიაო. შენი მაღალი მეგობარიც წამოიყვანე და თქვენ, ორი საიდუმლო ახალგაზრდა, ყველაფერს მალე საიმედოდ ჩაკეტავთო.

მე კონიაკზე უარი ვთქვი, შოკოლადი ერთი ავიღე. მანქანას ადრე გამოგიგზავნითო. თან ბანაკშიც დავრეკავთო... კარგია, უმღერეთ და საქმეც უკეთეთ. თითო გასაღებიც კარებთან დამალეთ. აბა თქვენ იცით, თქვენ ჭკუის დარიგება არ გჭირდებათ!..

მეორე დღიდან მეგობრები თავგამოდებით შეუდგნენ იარაღის საწყობების კარის „საიდუმლოდ“ ჩარაზვას, თან უნტერ ოფიცერი სადილსაც შეპირდათ, ოღონდ ტემპში და საიმედოდ აკეთეთ, პატივისცემა ჩვენზე იყოსო. ქალაქში ადგილობრივი საიმედო ან რაიმეს გამკეთებელი აღარავინაა. თქვენ კარგადაც აკეთებთ და საიმედონიც ხართ, ტყვეთა ბანაკებიდან „საიდუმლო არსად გაჟონავს“. საკეტებისათვის თუ საჭირო იქნება რაიმე სახის ლითონი, მაცნობეთ და დაუყოვნებლივ მოგაწვდით... სადილზე ორი სიმღერა თქვენზეა. შევთანხმდით ხომ!..

მათი წყალობით მართლაც სასწაული მოხდა. მთლიანად დალუქეს ყველა იარაღის საწყობი. სურსათის მარაგი იმდენი აღმოჩნდა, რომ არმიას ეყოფოდა. მუქთა მუშებს სადილი მუდამ ჰქონდათ. ესენიც ისეთ ქართულ სიმღერებს უმღეროდნენ ოფიცრებს, რომ დალევის ხასიათზე აყენებდნენ, არც ისინი იკლებდნენ, გერმანელებიც კმაყოფილები იყვნენ და ქართველი „მზვერავებიც“.

დავითის და სეითის ნამღერმა ქართულმა სიმღერებმა: „ციცინათელამ“ და „სულიკომ“, ასევე მათმა ნახელავმა ისე მოხიბლა გერმანელი ოფიცრები, რომ მთელი შეიარაღებული საწყობების კარები მათ ჩააკეტინეს და უდიდესი სამხედრო საიდუმლო გაანდეს. ტყვეთა ბანაკებში მყოფმა საბჭოთა ოფიცრობამ გამოცდილი მეომრებით ისეთი ძალა შეაიარაღეს, რომ ყველა სახეობის იარაღის მცოდნე ტყვეებმა, ორ საათში მთლიანად ხელთ იგდეს ქალაქი, რომელიც უზრუნველყოფილი იყო ყველა სახეობის იშვიათი იარაღით. რადისტები უკვე ფლობდნენ გადამცემს და სასწრაფოდ მიაწოდეს ინფორმაცია საბჭოთა სარდლობას, რომ ტყვეთა ბანაკებმა ხელთ იგდეს უძლიერესი შეიარაღება და ისეთი წრიული ზალპები გაუშვეს ქალაქის ირგვლივ, რომ მახლობელ ზოლში შემომტევი არავინ იყო. ყველას ეგონა, რომ საბჭოთა რეგურალური არმია დაეუფლა ქალაქსო და ვინ გაბედავდა ჩვენთან მოახლოებას. მთავარია, მოგვაწოდეთ საბჭოთა არმიის ფორმები. მზად ვართ, ეს ქალაქი, როგორც ციხესიმაგრე ისე შევინარჩუნოთ და ჩვენი არმიის მოახლოებამდე არავის დავუთმოთ. შემდეგ კი ბერლინამდე ერთად ჩავიდეთ, გამარჯვება ერთად ვიზეიმოთო. ასეც მოხდა, ბერლინამდე სახელოვანი ბრძოლით ჩავიდნენ. შვიდი-რვა ორდენით დაჯილდოვდნენ... ყველას აღუდგინეს წოდებები და ჯილდოები. ახალი საბრძოლო ორდენებიც მიიღეს და სამშობლოში გამარჯვებულები დაბრუნდნენ.

ომიდან დაბრუნებული მეომრები ოჯახებით, ერთ 9 მაისს ლაილაშში ზეიმობდნენ, მეორეს — ცაგერაში. როგორც კი მათ თვალს შეავლებდნენ, ლაილაშის და ცაგერას მოსახლეობა ოვაციებს უმართავდნენ... ორივე ძმაკაცს სამ-სამი შვილი ჰყავდათ. მათ შორის ნათლობაც მოხდა. სეითის შვილმა ოლეგმა დავითის ქალიშვილი ნანა მონათლა. ახვლედიანების ოჯახში წმინდა მირონცხება ებრაელებთან პირველად არ მომხდარა. სეით ახვლედიანის უფროს ძმას, პორფილეს ჰყავდა ებრაელი ძმადნაფიცი ბეხორა ბებერაშვილი. დიდებული, პროფესიონალი ფოტოგრაფი, რომელიც ყოველწლიურად ცოლშვილით ამოდიოდა სოფელ ცაგერაში დასასვენებლად, სადაც პორფილეს შვილები: გოგუცა, ლამარა და სოზარი მონათლეს (მირონი სცხეს) ბეხორას ცოლშვილმა. ეს მაშინ, კომუნისტების ზეობის ჟამს დასჯადი იყო, რევოლუციიდან მომდინარე, ამიტომ მით უფრო ფასეულიც იყო.

გივი ახვლედიანი,
ჟურნალისტი

მუდამ ახლის ძიებაში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების დღევანდელი თაობა დამსახურებულად ამაყობს მეცნიერთა იმ კოჰორტის „ოქროს ფონდით“, რომელთა მემკვიდრეობამ შორს გაუთქვა სახელი ქართულ მედიცინას, მის სამეცნიერო პოტენციალს და თავად უნივერსიტეტს.

მათ შორის, ვინც თავისი შეგნებული ცხოვრება უამრავი სიძნელეების გადალახვით, დაუღალავი შრომით, რუდუნებითა და მიზანდასახულობით უძღვნა ჩვენი ქვეყნის სამედიცინო მეცნიერებისა და პრაქტიკის განვითარებას, იყო პროფესორი გაიოზ (გიზო) ვასაძე, რომელსაც მაისის თვეში 90 წელი შეუსრულდებოდა.

იგი უკვე მეორე წელია, აღარ არის ჩვენთან, მეორე წელია, მისი აღზრდილები, თანამოაზრეები და ოჯახი მის გარეშე აღნიშნავენ მის დაბადების დღეს. და გვჯერა, რომ ჩვენი მოკრძალებული გახსენებით დამაჯერებელ სიტყვას ვეტყვით დღევანდელ ახალგაზრდობას, თუ რატომ გვაქვს უფლება, ვიამაყოთ წარსულით, რატომ ვართ ვალდებულები, გავუფრთხილდეთ და მოვეფეროთ ყველას და ყველაფერს, რაც ჩვენი ერის ფასდაუდებელი განძია, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი უკავია მეცნიერებას და თავად მეცნიერებს.

გაიოზ ვასაძე დაიბადა 1928 წლის 14 მაისს ქალაქ ქუთაისში სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. 1954 წელს დაამთავრა თბილისის 55-ე სკოლა. სწორედ ამ წელს დიდ სამამულო ომში გამარჯვებული ქვეყანა, ჯერ კიდევ ნანგრევებში და უკიდურეს სიძნელეებში მყოფი ფიქრობს სამომავლო სიკეთეზე, ახალგაზრდობის გამხნევებაზე, მათ განათლებაზე და სკოლის განსაკუთრებულად წარჩინებული და ნიჭიერი მოსწავლეებისთვის აწესებს ოქროსა და ვერცხლის მედალს უმაღლეს სასწავლებელში უგამოცდოდ ჩარიცხვის უფლებით. საქართველოში იმ წელს სულ რამდენიმე ოქროს მედალი გაიცა და მათ შორის, ვინც ეს პატივი დაიმსახურა, იყო გაიოზ ვასაძე. მან იმავე წელს სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე და პირველი კურსის ფრიადებზე დამთავრების შემდეგ, ყველას გასაკვირად, მიიღო გადაწყვეტილება ისევ პირველი კურსიდან ესწავლა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. სწორედ აქედან იწყება მისი განსაკუთრებული მიზანდასახულობა, იცხოვროს თავისი ხალხის კეთილდღეობისთვის, ემსახუროს თავის ქვეყანას.

გაიოზ ვასაძეს, ჯერ კიდევ მეორე კურსის ფრიადოსან სტუდენტს, ენიშნება სახელობითი სტიპენდია. მისი აქტიური მონაწილეობით ინსტიტუტში იქმნება სტუდენტთა სამედიცინო საბჭო, რომლის თავმჯდომარედაც მას ირჩევენ და თბილისის თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებელი ცდილობდა, ყოფილიყო „მედიკებთან“ ერთად სამეცნიერო კონფერენციების, კონკურსების, გამოფენების ორგანიზებაში, სხვა ქალაქების სტუდენტთა სამეცნიერო წრეებთან კავშირების დამყარებასა და დამეგობრებაში. სწორედ ამგვარმა სიახლემ ცხადყო ისიც, რომ სტუდენტობის წლებში მეცნიერების წვდომის სურვილი ბევრად განაპირობებს მომავალი სპეციალისტის, როგორც მკვლევარის ფორმირებას.

დღევანდელი გადასახედიდან ძნელი არ არის გაიოზ ვასაძის, როგორც პიროვნების თავისებურებების სწორად ახსნა და შეფასება. პრინციპულობა, დამოუკიდებლობა, თავისი აზრის გამოხატვის შესაძლებლობის უნარი და მოთხოვნილება და, ამავე დროს, ყოველთვის კორექტულობა და თავაზიანობა. იმ დროს კი სტუდენტისთვის ამგვარი თავისებურებების „პატიება“ დაუშვებელიც კი იყო და ეს გაიოზ ვასაძესაც შეეხო. ის პარტიის ისტორიის სემინარზე, რომლის თემა იყო 1937 წლის რეპრესიები, არა მხოლოდ არ დაეთანხმა ამ მოვლენის იმდროინდელ შეფასებას, არამედ პროტესტის ნიშნად დატოვა სემინარი. მას ეს ძვირად დაუჯდა, რადგან უარი უთხრეს კომპარტიის რიგებში მიღებაზე.

ცნობილია, რომ ცხოვრებაში შემთხვევითობა ზოგჯერ საგანგებო როლს თამაშობს. სწორედ ამ ფაქტს დაემთხვა საბჭოთა კავშირის ყველაზე პრესტიჟული სამედიცინო სასწავლებლის ლენინგრადის სამხედრო სამედიცინო აკადემიის წარმომადგენლის ჩამოსვლა, რომელსაც თბილისის სამედიცინო ინსტიტუტისთვის გამოყოფილ 10 ადგილზე სტუდენტები უნდა შეერჩია. გაიოზ ვასაძე პირველი ჩაეწერა ამ სიაში. ვერავინ ვერ შეაცვლევინა მას ეს გადაწყვეტილება. მას მხარი აუბეს მისმა მეგობრებმაც და ინსტიტუტის 10 ფრიადოსანი სტუდენტი სასწავლებლად გადავიდა დასახელებულ აკადემიაში. გაიოზ ვასაძე ჩაირიცხა მე-4 კურსის სტუდენტად და მან 1952 წელს აკადემია ოქროს მედალზე დაამთავრა.

ლენინგრადის (ამჟამად პეტერბურგის) სამხედრო სამედიცინო აკადემიის 200 წელზე მეტი ხნის ისტორიაში მისი ოქროსმედალოსანი კურსდამთავრებულების გვარები აკადემიის კედელზე ოქროს ასოებით არის ამოტვიფრული. იმათ შორის მხოლოდ ორი ქართული გვარია — გიორგი ხუნდაძე და გაიოზ ვასაძე.

აკადემიის დამთავრების შემდეგ, არსებული წესის მიხედვით, ის სამი წლის განმავლობაში მსახურობდა კუიბიშევის (ახლა სამარის) ოლქში სამხედრო პოლკის ექიმად, საიდანაც აბრუნებენ აკადემიაში და სწავლას აგრძელებს ასპირანტურაში პათოფიზიოლოგიის კათედრაზე. 1958 წელს გაიოზ ვასაძე იცავს საკანდიდატო დისერტაციას, რის შემდეგაც მას ტოვებენ კათედრაზე და უმტკიცებენ სადოქტორო დისერტაციის თემას.

მიუხედავად იმისა, რომ მას ყველანაირი პირობა გააჩნდა შემდგომი პროფესიული ზრდისა, ბატონ გაიოზს გული მაინც სამშობლოსკენ მოუწევდა და 1960 წელს ბრუნდება თბილისში და მუშაობას იწყებს დიდი ქართველი მეცნიერისა და განსაკუთრებული ღირსების მქონე პიროვნების, პროფესორ იოსებ ჟორდანიას მიერ შექმნილი ქალთა ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტული ქირურგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელად.

1961-1963 წლებში გაიოზ ვასაძე ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო დარგში, სადაც მან ჩამოაყალიბა ექსპერიმენტალური პათოლოგიისა და სამედიცინო რადიოელექტრონიკის ლაბორატორია. 1963 წელს მან დაასრულა სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობა, რომელიც ტრავმული შოკის განვითარების მექანიზმებს ეხებოდა და წარმატებით დაიცვა ის თავის სათაყვანო სამხედრო სამედიცინო აკადემიაში. იმავე აკადემიის წარდგინებით 1964 წელს მას მიენიჭა პროფესორის წოდება.

ჯერ კიდევ ასპირანტურაში სწავლის პერიოდში გაიოზ ვასაძე ეზიარა ამერიკელი მეცნიერის ნორბერტ ვინერის იდეებს კიბერნეტიკის შესახებ, რომელიც მანქანებისა და ცოცხალი ორგანიზმების მიერ ინფორმაციის მიღების, შენახვის, გადაცემისა და გამოყენების შესაძლებლობას იკვლევს. 1963 წელს ის მუშაობას იწყებს ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის ჯერ სამედიცინო კიბერნეტიკის განყოფილების გამგედ, ხოლო 1971 წლიდან — დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში. 1984-1987 წლებში მუშაობას გაგრძობს ჯანდაცვის სამინისტროს IV მთავარი სამმართველოს ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის დირექტორად, 1987-1994 წლებში მის მიერ ჩამოყალიბებული ჯანდაცვის ინფორმატიზაციისა და კომპლექსური ავტომატიზაციის ინსტიტუტის დირექტორად. ამ წლების განმავლობაში მისი მთავარი საზრუნავი ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში მათი ეფექტური გამოყენება იყო. სწორედ ამიტომ და სრულიად დამსახურებულად გაიოზ ვასაძე ითვლება სამედიცინო კიბერნეტიკის ფუძემდებლად საქართველოში.

1985 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მისი ინიციატივით იხსნება სამედიცინო კიბერნეტიკისა და ინფორმატიკის კათედრა, რომლის გამგედ ის მუშაობდა 1992 წლამდე. სწორედ ამ კათედრაზე იღებს მომავალი ექიმი ცოდნას ინფორმატიკისა და ახალი ტექნოლოგიების შესახებ.

1994 წელს გაიოზ ვასაძემ პროფესორ ზაზა კახიანთან და პროფესორ გივი დუმბაძესთან ერთად დააფუძნეს საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია, რომლის აკადემიკოს-მდივანი და ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე იყო წლების განმავლობაში.

აქტიური სამეცნიერო მოღვაწეობის უკანასკნელი წლები გაიოზ ვასაძემ ჰოლიზმისა და პრობლემების მოგვარებისადმი სისტემური მიდგომის აუცილებლობის დასაბუთებას მიუძღვნა. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მხოლოდ ცალკეული ნაწილების რეფორმირება ვერ მოიტანს სასურველ შედეგს, თუ არ განხორციელდა მისი ჰოლისტიკური გაგება და უკლებლივ ყველა ელემენტის სრულყოფა.

პროფესორი გაიოზ ვასაძე 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი იყო, მისი ხელმძღვანელობით დაცულია 6 სადოქტორო და 23 საკანდიდატო დისერტაცია. ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის ორდენით“, „ხალხთა მეგობრობის ორდენით“ და „ღირსების ორდენით“.

თუმცა, მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო მისი ოჯახი იყო. მეუღლე ბეატრისა ქაჯაია-ვასაძე, ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის ინსტიტუტში წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა კოაგულოლოგიის ლაბორატორიას, უფროსი ვაჟი — გურამი ფიზიკოსია, ხოლო უმცროსი — პროფესორი ოთარ ვასაძე ღირსეულად აგრძელებს მამისა და დედის გზას.

გვსურს განსაკუთრებულად აღვნიშნოთ ისიც, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მდებარეობს საბურთალოს რაიონის ტერიტორიაზე, რომლის ღირსეული გამგებელი დღეს არის გაიოზ ვასაძის პირველი შვილიშვილი — ასევე გაიოზ ვასაძე.

სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების დღევანდელი თაობა უდიდესი პატივისცემით უერთდება მათ, ვინც სიყვარულით, სითბოთი და მონატრებით აღნიშნავენ ღვაწლმოსილი მეცნიერის, თაობათა აღმზრდელის, ღირსეული მამულიშვილის, პროფესორ გაიოზ ვასაძის 90 წლის იუბილეს და თავს ხრიან მისი ნათელი ხსოვნის წინაშე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.

მსოფლიოში აღიარებული სომელიეები და ღვინის იმპორტიორები საქართველოში

ამერიკელი ღვინის პროფესიონალების 9-კაციანი ჯგუფი საქართველოში იმყოფება. ჯგუფს ხელმძღვანელობს ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანია „TastingWorks“-ის დამფუძნებელი, ღვინის მაგისტრი ლიზა გრანიკი და მის შემადგენლობაში შედიან სომელიეები და ღვინის იმპორტიორები.

ვიზიტი თბილისში დეგუსტაციით („Speed tasting“) დაიწყო, სადაც ქართული ღვინის მწარმოებელ 30-მდე კომპანიას შესაძლებლობა მიეცა, წარედგინა საკუთარი პროდუქცია და კონსულტაციები მიეღოთ სტუმრებისგან, თუ როგორ უნდა მოხდეს მათი ღვინის ამერიკის ბაზარზე რეალიზაცია და დამკვიდრება.

ლიზა გრანიკის თქმით, დეგუსტაციის შედეგად, ამერიკელ სტუმრებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება ქართული ღვინის ხარისხმა და მრავალფეროვნებამ მოახდინა.

„აქ ქართული ღვინის დიდი მრავალფეროვნება იყო წარმოდგენილი, სხვადასხვა მოსავლის, სტილისა და საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიის ღვინოები. ხარისხი კი ყოველწლიურად სულ უფრო უმჯობესდება. ზოგიერთ სტუმარს ჰქონდა მცირე წარმოდგენა ქართულ ღვინოსთან დაკავშირებით, ისინი აღფრთოვანებული არიან ქართული ღვინის სტილის მრავალფეროვნებით“, — აღნიშნა ლიზა გრანიკმა.

ტურის ფარგლებში სტუმრები ქართლსა და კახეთში სულ 15 ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიას ეწვევიან. ღვინის პროფესიონალები გაეცნობიან ქართული ღვინის დაყენების ტექნოლოგიას და ადგილზე დააგემოვნებენ როგორც კლასიკური, ისე ტრადიციული მეთოდით დამზადებულ ქართულ ღვინოებს. ტურის ბოლოს სტუმრები მთაწმინდის პარკში დაესწრებიან ახალი ღვინის ფესტივალს.

ვის გამოაბრუნებენ ევროკავშირიდან?

- **რა შემთხვევაში გემუძრებათ იძულებითი დაბრუნება?**
- **ვის აძვს ლტოლვილის სტატუსის მიღების შანსი?**
- **ვის არა აძვს ლტოლვილის სტატუსის მიღების შანსი?**
- **რომელ ქვეყნებშია რთული ლტოლვილის სტატუსის მიღება?**

9 მაისს გერმანიიდან საქართველოში ჩამოიყვანეს საქართველოს 68 მოქალაქე, რომლებსაც აღარ ჰქონდათ ევროკავშირის ტერიტორიაზე დარჩენისა და ცხოვრების უფლება. მათი რეადმისია განხორციელდა გერმანიიდან, შვეიცარიიდან, ბელგიიდან და ისლანდიიდან. საქართველოს შს სამინისტროს ინფორმაციით, მოქალაქეთა დასაბრუნებლად დიუსელდორფ-თბილისის სპეციალური ჩარტერული ავიარეისი დაინიშნა, გერმანიის ფედერალურ პოლიციასა და ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტო „ფრონტექსთან“ კოორდინაციით. ბოლო თვეებში საქართველოში უკვე რამდენიმე ნაკადად დააბრუნეს საქართველოს ათობით მოქალაქე. პროცესი გააქტიურდა მას შემდეგ, რაც ევროკავშირის/შენგენის ზონის ქვეყნებმა და, უპირატესად, გერმანიამ მწვავე უკმაყოფილება გამოხატა საქართველოდან ლტოლვილის სტატუსის მომთხოვნ პირთა რიცხვის ზრდის გამო, რაც ორგანიზებული დანაშაულის რისკების ზრდასაც უკავშირდება. გაჩნდა საფრთხე, რომ, შეჩერების მექანიზმის ამოქმედებით, საქართველოს მოქალაქეებს დაეკარგათ უვიზო მომოსვლის სიკეთე.

იძულებით დაგაბრუნებენ, თუკი უკანონო სტუმარი იქნებით

რეადმისიის პროცედურების გავლით, საქართველოში იძულებითი დაბრუნება გემუქრებათ იმ შემთხვევებში, თუკი თქვენ ვერ ან უკვე ვეღარ აკმაყოფილებთ ევროკავშირის/შენგენის ზონის წევრი რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის, ყოფნის ანდა ცხოვრების მოთხოვნებს. კერძოდ, ეს მოხდება, მაგალითად, მაშინ, თუკი თქვენ დაარღვევთ სავიზო ლიბერალიზაციის შეთანხმებით დადგენილ ვადებს (ევროკავშირის/შენგენის ზონის ქვეყნებში უვიზოდ მოგზაურობის უფლება გათვლილია 90 დღეზე ყოველი 180 დღის განმავლობაში). ასევე თქვენ იძულებითი დაბრუნება გემუქრებათ იმ შემთხვევაში, თუკი უარს გეტყვიან თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადზე, მაგრამ საკუთარი ნებით არ დატოვებთ ევროკავშირის/შენგენის ზონის კონკრეტულ ქვეყანას. რეადმისიის პროცედურები განსაზღვრულია „უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ საქართველოსა და ევროკავშირს შორის მიღწეული შეთანხმების ფარგლებში. რეადმისია უსაფრთხო და მოწესრიგებულ დაბრუნებას გულისხმობს. რეადმისია შეეხებათ პირებს, რომლებსაც არა აქვთ ჩადენილი დანაშაული. რეადმისია განსხვავდება დეპორტაციისგან, რაც გამოძევებას გულისხმობს.

ვის მიენიჭება ლტოლვილის სტატუსი?

ლტოლვილის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს პირს, რომელიც არის დევნის მსხვერპლი პოლიტიკური შეხედულებების გამო ანდა რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების გამო. პირს, რომელიც ითხოვს ლტოლვილის სტატუსს, უნდა ჰქონდეს საფუძვლიანი, დასაბუთებული შიში, რომ წარმომავლობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში არ იქნება დაცული მისი უფლებები და გაგრძელდება მისი შევიწროება. ლტოლვილის სტატუსის მიღების საფუძველი განისაზღვრება „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის კონვენციის მიხედვით.

ლტოლვილის სტატუსს ვერ მიიღებთ სილარიბის გამო

ლტოლვილის სტატუსის მისაღებად არ გამოგადგებათ ისეთი მიზეზები, როგორიც არის, მაგალითად, უმუშევრობა ან სხვა ეკონომიკური და სოციალური პრობლემები. არადა, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, ხშირად სწორედ ამ მიზეზებით ტოვებენ ადამიანები საკუთარ ქვეყანას და ითხოვენ თავშესაფარს ევროკავშირის/შენგენის ზონის ქვეყნებში. განაცხადების უმრავლესობაზე საქართველოს მოქალაქეები უარყოფით პასუხს იღებენ. შედეგად, სტატუსზე უარის მიმღებ პირებს ნებაყოფლობით, რეადმისიის პროცედურების გავლით ანდა დეპორტაციის გზით, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მოუწევთ სამშობლოში დაბრუნება. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია გირჩევთ, არ გასწიოთ რისკი, რადგანაც ლტოლვილის სტატუსის უშედეგო ძიების პროცესში შესაძლოა, არსებული ქონებაც დაკარგოთ და კიდევ უფრო გაღარიბდეთ.

ლტოლვილის სტატუსის მიღება რთული ან ძალიან რთულია

ლტოლვილის სტატუსის მიღება განსაკუთრებით რთულია იმ ქვეყნებში, რომლებმაც საქართველოს უსაფრთხო ქვეყნის სტატუსი მიანიჭეს. ევროკავშირის/შენგენის სივრცეში ეს ქვეყნებია: საფრანგეთი, ავსტრია, ბელგია, ისლანდია, ბულგარეთი, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი. ამ ქვეყნებში ჩაითვალა, რომ საქართველოში სახიფათო მასშტაბით არ ირღვევა ადამიანის უფლებები და არ იდევნებიან ადამიანები. შესაბამისად, ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნის განაცხადი ამ ქვეყნებში მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში (რამდენიმე დღე ან კვირა) განიხილება და დადებითი პასუხის ალბათობა მინიმალურია. თუმცა, ზოგადად, ევროკავშირის/შენგენის ზონის ყველა ქვეყანა მეტ-ნაკლებად ცდილობს, რომ უვიზო რეჟიმით მოსარგებლე ქვეყნების მოქალაქეებისთვის შეამცირონ განაცხადის განხილვის ვადები, რაც ამჟამად რამდენიმე თვეს გულისხმობს.

ლელა კუნჭულია

ცხოვრების ფაქტები

ტრამპის ცხოვრებაში ყველაზე ძვირფასი ნავაჭრი თუ ნაყიდი — დიდებული იახტა — განქორწინების შემდეგ ტრამპის პირველ ცოლს ერგო, რომელსაც დღემდე ფლობს და, ფაქტობრივად, თავის საცხოვრებელ სახლად აქცია.

* * *

ტრამპის ბოლო ქორწინება სლოვენიელ მოდელთან მელანია კნავსთან დაჯდა 45 მილიონი დოლარი. როგორია?!

* * *

თავის ბოლო ცოლზე ტრამპი ამბობს: „ის დახვეწილად მშვენიერია შინაგანადაც და გარეგნულადაც, მელანია ელეგანტურია, მგრძნობიარე და გონიერი. იცის ყველა თავისი ძლიერი და სუსტი მხარე“.

* * *

ტრამპი ამტკიცებს, ჩემი ცოლებისთვის არცროდის ისეთი საჩუქარი არ მიმირთმევია, იმათ რომ არ სიამოვნებოდათო. „რაკი ისინი მიყვარდნენ, ამიტომ ჩინებულად ვიცოდი, რაც უნდოდათ“, — განმარტავს ტრამპი.

* * *

კითხვაზე — „რა განიჭებთ ცხოვრებაში ყველაზე დიდ სიამოვნებას?“, ტრამპს მუდამ ერთი პასუხი აქვს: „ჩემი შვილები და ცოლი“.

* * *

2004 წელს რეალითი-შოუს „კანდიდატის“ ყოველი გადაცემისთვის (კონკურსი ტრამპის კორპორაციაში ტოპ-მენეჯერის ადგილის მოპოვების უფლებისთვის) ტრამპი 3 მილიონ დოლარს იღებდა. ამან იგი ამერიკული ტელევიზიის ერთ-ერთ ყველაზე მაღალანაზღაურებად პერსონაჟად აქცია.

* * *

2007 წელს ტრამპმა მიიღო თავისი ვარსკვლავი დიდების ხეივანქვეშ ჰოლივუდში თოქ-შოუ „კანდიდატის“ შექმნისთვის და თანაც ამ შოუში გამძღოლად მონაწილეობისთვის.

* * *

ტრამპი ფილმში — „უკან მომავალში-2“ — ანტიგმირი-მილიარდერის ბიფ ტანენის პირველსახე გახდა.

* * *

ტრამპი ორჯერ იყო ნომინირებული „ემი“-ს პრემიაზე საკუთარი თავის განსახიერების გამო. მას სულაც არ სცხვენია, თუ კომიკურად გამოჩნდება, მან ეს არაერთხელ დაამტკიცა ისეთ ფილმებში, როგორიც არის „მარტოკაცი შინ-2“, „დაკარგული ნიუ-იორკში“, „ძიძა“, „ბევერლიჰილზელი უფლისწული“, „ჩვენი ცხოვრების დღეები“.

* * *

ტრამპი ფლობს სამორინეთა ქსელს. იმათგან უმსხვილესია — „ტრამპ ტაჯ-მაჰილი“ ატლანტიკ-სითიში, სადაც მუდმივად იმართება კონცერტები და სპორტული ღონისძიებები. მაგალითად, 2002 წელს იქ გაიმართა ვლადიმერ კლიჩკოს კარიერაში უმნიშვნელოვანესი ბრძოლა რეი მერსერის წინააღმდეგ.

* * *

ტრამპი იყო მაიკ ტაისონის კონსულტანტი ფინანსურ საკითხებში და ატლანტიკ-სიტიში რინგზე უძღვებოდა ტაისონისა და მაიკლ სპინსკის ორთაბრძოლას.

* * *

დონალდ ტრამპი რესტლინგის ფანატია, აქტიურად მონაწილეობს ამ თავისებური გართობის — World Wrestling Entertainment — მთავარი ორგანიზაციის შოუში და შეყვანილია დიდების დარბაზში.

* * *

ტრამპი გოლფის დიდი თაყვანისმცემელია, ამ თამაშისთვის იგი ფლობს მინდვრებს ამერიკის შეერთებული შტატების არაერთ კუთხეში. 2006 წელს მან შოტლანდიაში (დედულეთში) იყიდა ნაკვეთი იმ მიზნით, რომ იქ შეექმნა მსოფლიოში გოლფისთვის საუკეთესო კომპლექსი. ის მზად იყო ამ პროექტში ჩაედო 1 მილიარდი დოლარი, მაგრამ მშენებლობა ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ნეგატიურ დამოკიდებულებას წააწყდა და აქამდე არ დაწყებულა.

* * *

ტრამპმა საპრეზიდენტო ამბიციები პირველად 2006 წელს გამოავლინა, წარმოადგინა რა თავისი კანდიდატურა რეფორმისტული პარტიისგან (დაფუძნებული იყო ოდიოზური ბიზნესმენისა და დამოუკიდებელი პოლიტიკოსის როს პეროსაგან). რამდენიმე შტატში პირველად არჩევნებში გამარჯვების შემდეგ საარჩევნო მარულას გამოეთიშა.

* * *

თავისი კანდიდატურა პრეზიდენტად რომ წამოაყენა, ტრამპმა განაცხადა: ვიცე-პრეზიდენტი ჩემს გუნდში ცნობილი ტელეგამძღოლი ოპრა უიფრი გახდებაო. საგულისყუროა, რომ თავის დროზე უიფრი მხარს უჭერდა პრეზიდენტობის კანდიდატ ბარაკ ობამას.

* * *

ტრამპს ადარებენ რონალდ რეიგანს, ორივენი „ტეფლონურ კანდიდატებად“ მონათლეს, იმიტომ რომ არც ერთს არ „ეკვრის“ და არ „ეწებება“ არავითარი სკანდალური განცხადებები და წამოროშილი რამ და, თუკი უფრო აღმაშფოთებელი რამ უთქვამთ, ყველაფერი ხახვივით შერჩენიათ.

ასე ამბობდა დონალდ ტრამპი

ქართულად გადმოაქენა გურამ გოგიაშვილმა

დასასრული. დასაწყისი იხ. №78-87, 89-90, 95-97

ჰამლეტური ყოყმანის წინარ

ციკლიდან „დროის იეროგლიფები“

იყო დრო, როდესაც თემურ მეტრეველს გაათავისუფლებდნენ გაზეთის რედაქტორობიდან: ჩემი სტატიის დაბეჭდვისათვის. და ეს: 90-იან წლებში.

ის კი არა, სულაც მიუხურავდნენ იმ გაზეთს — „მოქალაქე“, რაკილა დემოკრატიის პირობებში არ წაადგებოდათ ასეთი უხეში ჩარევა რედაქციის ცხოვრებაში: რედაქტორის ასე პირდაპირ მოხსნა. რედაქცია კი რეორგანიზაციის მოსაბაბებით შეწყვეტდა არსებობას — ვითომდა დროებით...

ასეა თუ ისე, მე შემეწირებოდა რედაქტორის თანამდებობა.

ეგაა, მიამიტურად მეგონა, რომ ასეთი რამ აღარასოდეს განმეორდებოდა.

მაგრამ... აი შეიცვლებოდა თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე, მსახიობისა და რეჟისორის გიორგი ქავთარაძის ნაცვლად მოვიდოდა მხატვარი და... ეს ახალი ხელმძღვანელი გიორგი გეგეჭკორი საქმიანობას იმით დაიწყებდა, რომ მოხსნიდა გურამ ბათიაშვილს ჟურნალის — „თეატრი და ცხოვრება“ — რედაქტორობიდან, ბრალად კი წაუყენებდა... ნოდარ გურაბანიძისა და თქვენი მონა-მორჩილის ნარკვევების გამოქვეყნებას. ჩემ გამო სულაც აღშფოთებას ვერ დაფარავდა: რა უნდა ამ ყაიდის მასალას ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეო.

ისე ხმა არ ამომეღება:

მართლაც რატომ უნდა მოხვედრილიყო ამ სახელწოდების თხზულება — „აკაკი წერეთლის თეატრი“ „თეატრი და ცხოვრების“ ფურცლებზე — რა საერთო შეიძლება ჰქონდეთ ერთმანეთთან!..

ჩემს ნარკვევს, რომელიც ერთი თავია ბიოგრაფიული რომანისა აკაკი წერეთელზე: „ხან მიწისა და ხან ცისა“, ბოლოში მიწერილი ჰქონდა: დასასრული შემდეგ ნომერში.

მაგრამ დაპირებას შესრულება არ ეწერებოდა და დასასრულს — დაბეჭდვა. გამოვიდოდა ახალი ნომერი და... ჰაერში დარჩებოდა გამოკიდებული ის მინაწერი.

სწორადაც მოიქცა ახალი რედაქტორი დავით ანდრიაძე — აბა ერთი ნომრის გამოშვებასა და იმ დასასრულის გამოქვეყნებას ხომ არ უნდა გადაჰყოლოდა?!.

ის კი არა, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციასაც მკაცრად უსაყვედურებდნენ იოსებ ჭუმბურიძისა და ჩემი ნაწერების ბეჭდვას — ეს უკვე არჩილ იოსელიანი, და რაც ყველაზე დამაფიქვრელია: დაამუნათებდათ დემოკრატიისა და სამართლიანობის სახელით. ეს ბატონიც თავმჯდომარე ბრძანდება, ოღონდ ვერ გავერკვიე — და თვითონაც ვერ გარკვეულა — პარტიისა თუ კავშირისა.

კიდევ კარგი, მის ხელთ არ არის „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორის მოხსნა-დანიშვნა.

და კიდევ ქუთაისის ლიტერატურული ჟურნალის — „მწვანეყვავილა“ — რედაქციასაც აიკლებდნენ ჩემ გამო: რატომ ბეჭდავთო?!. და ისე გააბეზრებდნენ, რომ რედაქტორი გიზო თავაძე იძულებული გახდებოდა, საჯაროდ გადამფარებოდა და არ შეპუებოდა რედაქციის „კეთილისმსურველებს“, ისინიც რაღაც-რაღაცების თავმჯდომარეები რომ იქნებოდნენ, მაგრამ მისი ბედის გადამწყვეტნი კი არა:

მისი ჩანაწერების ციკლში „ზოგი რამ“ უშუალოდ ამ სათაურით — „აწიც დავბეჭდავ!..“ — გამოქვეყნებული ერთ-ერთი პუბლიცისტური მინიატიურა იმ გამჭვირვალე ქვეტექსტსაც ამჟღავნებდა, რომ: ეს რედაქცია საერთოდაც არ მოითმენს — მით უმეტეს დემოკრატიის სახელით — მისთვის სასურველი ავტორების ჩამოშორებას („მწვანეყვავილა“, 2018, №1).

გაუცუდდებოდათ ნახტომი და ძალიანაც გაუცუდდებოდათ, რაკილა გადაულახავ ბარიერს წააწყდებოდნენ, თორემ ისიც მაგონდება და ბუნდოვნად მახსოვს, როგორ ამიკრავდნენ გუდანაბადს „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებიდან 90-იან წლებში. ვერ ვიტყვი, რომ მთლად იოლად დაიყაბულებდნენ რედაქტორს, მთელი თავიანთი დემაგოგიური და ცილისმწამებლური უნარის მოშველიებაც დასჭირდებოდათ, და კიდევ...

თუმც აღარ ღირს ზედმეტი ჩაღრმავება... მითუმეტეს მთელი წიგნი მაქვს დაწერილი ცხელ კვალზევე: „ოტარიდი“: მიზნები, ამოცანები, კრახი“.

ნეტა თეატრის მოღვაწეთა კავშირის ჟურნალის რედაქტორი მაინც არ გაეთავისუფლებინათ ჩემი გულისათვის და ჩემი ნაწერების დაუბეჭდაობას ავიტან როგორმე!..

მაშინ რას ვიფიქრებდი, თორემ ახლა კი ვხვდები, რომ „თეატრი და ცხოვრების“ სპეციფიკისათვის სრულიად შეუფერებელი მასალა არ უნდა წარმედგინა და არც რედაქტორი ჩამეგდო უხერხულ მდგომარეობაში, თორემ მართლაც სად ეს ჟურნალი და სად „აკაკი წერეთლის თეატრი“.

და ახალ გათავმჯდომარებულმაც რა იღონოს, თუკი დემოკრატიულ პროცესებს თვითონვე აქვს ეს შეუვალი მოთხოვნა ჩემ მიმართ.

ერთი შეკითხვა კი გამიჩნდა ბატონ გეგეჭკორთან...

თუმც რა მეჩქარება, შეკითხვის დასმას ყოველთვისაც მოვასწრებ, თუკი „შემდეგ ნომერში“ დასრულების საშუალებაც მექნება.

ისე კი ლამის ჰამლეტურ ყოყმანში ჩავვარდე:

ბეჭდვა?.. არბეჭდვა?.. საკითხავი აი ეს არის!..

როსტომ ჩხეიძე

გმირთა მოედანზე რამდენიმე ვეტერანი შიმშილობს

უკვე მესამე დღეა, გმირთა მოედანზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა მემორიალთან რამდენიმე ვეტერანი შიმშილობს. ისინი საქართველოს პრემიერ-მინისტრს და პარლამენტს მიმართავენ და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისთვის სიცოცხლის ბოლომდე 500-ლარიანი პენსიის დანიშვნას ითხოვენ.

ვეტერანები პარლამენტს მოუწოდებენ, დროულად მიიღოს ომის ვეტერანთა შესახებ კანონი. მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე ვეტერანები შიმშილობის შეწყვეტას არ აპირებენ.

◎ „ჯიბის წიგნები“

პოეტის „მწიფობა“

„მიუხედავად ხანდაზმულობისა და ლექსის წერის საკმაო გამოცდილებისა, ჩემ თავზე არასოდეს მითქვამს პოეტი ვარ-მეთქი (ეს მოგვიანებით, სააქაოდან ჩემი უეჭველი წასვლის შემდეგ უნდა გაირკვეს), მაგრამ ვერც იმას დავმალავ, ლექსს რომ ვარ მიძალებული. დაწერილს უკიდურესი სიმკაცრით და დაუნდობლად ვექცევი, ამიტომაც გულისფანცქალით არავის მსჯავრს ველოდები“, — ეს შესავალი-წინათქმის ამონარიდია საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის მიერ ერთგული მკითხველისათვის გამოცემული კიდევ ერთი მშვენიერი მინიატიურული წიგნიდან, რომელიც გამოჩენილი ქართველი პოეტის ემზარ კვიტაიშვილის შემოქმედებას მოიცავს და შესანიშნავი ლექსების ერთ საერთო სათაურად გაერთიანებულ კრებულად წარმოგვიდგება — „მწიფობა“. ქალბატონ ლია ნადარეიშვილის რედაქტორობით გამოცემული წიგნი მხატვარ გოგი წერეთელს უშესანიშნავესი ფერადი ილუსტრაციებით გაუფორმებია და პოეტის სულისმოთქმასავით ლამაზი, ფილოსოფიური (როგორც ემზარ კვიტაიშვილის შემოქმედების განუყოფელი ნაწილი) ლექსების სიმფონიისთვის შეურწყამს.

ემზარ კვიტაიშვილის შემოქმედებას ექვს ათეულ წელზე მეტია, ეცნობა ქართველი მკითხველი, ტკბება მისი მუსიკალურობით, ჰაეროვნებით და რამდენადაც თავმდაბალი არ უნდა იყოს ავტორი — **„არასოდეს მითქვამს, პოეტი ვარო“** — მაინც გამოჩენილ ქართველ პოეტთა რიგში ჰყავს დაგულებული და ამას მის სიცოცხლეშიც ამბობენ. პოეტის ლექსები ერთ საზომზეა მორგებული, ერთ კალაპოტში მიედინება ხან შმაგი და დაუნდობელი მდინარესავით, ხანაც — მდორედ, წყნარად და მშვიდად, მაგრამ ყოველთვის ერთნაირი, სხვა პოეტებისგან განსხვავებული ტონალობით. ჩვენი ცხოვრების ნაწილია, ხან მოწყენილობის შეგრძნებას ბადებს, ხანაც თერგივით იხუვლებს და დაფიქრების საშუალებას არ გაძლევს, „მეწყერივითაა მოვარდნილი“.



ყველა ასაკის მკითხველი ჰყავს ემზარ კვიტაიშვილს, ამითაცაა გამორჩეული და მუდამ თანამედროვე, მიუხედავად თავისი მშვიდი, წყნარი ხასიათისა და ფილოსოფიური ბუნებისა, იგი მუდამ თავისი სამშობლოს ერთგული რჩება და მოვლენების ეპიცენტრშია.

ბატონი ემზარი რუსთაველის სახელმწიფო პრემიაზეა წარდგენილი, ეს მარტო მისი შემოქმედების დამფასებელთა აზრი კი არა, ზედმიწევნით მკაცრ კრიტიკოსთა და ლექსთა ოსტატთა აზრიცაა. ეს კი გამარჯვებაა პოეტისა და მისი შემოქმედებისა. ცნობისათვის, ჩვენი გაზეთის მკითხველებს რამდენიმე დღის წინათ შევთავაზეთ ცნობილი პოეტისა და კრიტიკოსის, ბატონი ივანე ამირხანაშვილის შესანიშნავი წერილი, სადაც მიუკერძოებლად და დიდი ოსტატობითაა წარმოდგენილი ემზარ კვიტაიშვილის შემოქმედება, პოეტური სამყარო, პიროვნული მრწამსი, ამიტომაც მხოლოდ ამ შესანიშნავი გამომცემლობის მიერ „გულის ჯიბით სატარებელი“ წიგნის წარდგენით შემოვიფარგლებით.

წარმატებებს ვუსურვებთ ბატონ ემზარს შემოქმედებით გზაზე, კიდევ ბევრი შესანიშნავი ლექსით გაეხარებინოს ქართველი მკითხველი.

იმედია, რუსთაველი თავის მადლს მოჰფენს.

მამუკა ვაშაკიძე

„კანის ლომები 2018“-ის საქართველოს ახალგაზრდული შესარჩევი კონკურსი დაიწყო

„კანის ლომები 2018“-ის საქართველოს ახალგაზრდული შესარჩევი კონკურსი Young Lions Georgia დაიწყო. წელს კონკურსი ხუთ კატეგორიაში — ბეჭდური რეკლამა, დიზაინი, ციფრული კამპანია, ვიდეო და ახალგაზრდა მარკეტერი მიმდინარეობს.

ახალგაზრდა მარკეტერის კატეგორიაში საკონკურსო თემად თბილისის ღამის ეკონომიკა შეირჩა. დავალების მიხედვით, კონკურსში მონაწილეებმა ახალი პროდუქტი და სერვისი უნდა შექმნან, ან იდეა განახორციელონ, რომელიც დედაქალაქში ღამის ეკონომიკის განვითარებას შეუწყობს ხელს.

ღონისძიებას თბილისის მერის მოადგილე სოფიო ხუნწარია დაესწრო. თბილისის ღამის ეკონომიკის განვითარების პროექტის ხელმძღვანელმა სერგი გვარჯალაძემ კი მონაწილეებს პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა.

სოფიო ხუნწარიას განცხადებით, აღნიშნული პლატფორმა თბილისის მერისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

„კანის ლომები“ მსოფლიოში კრეატიულ და სარეკლამო ინდუსტრიაში ყველაზე დიდი საერთაშორისო ფესტივალია. საქართველოს ახალგაზრდული შესარჩევი კონკურსის თითოეული კატეგორიის გამარჯვებული გუნდი ორგანიზატორების დაფინანსებით, საფრანგეთში, კანის კრეატიულ ფესტივალზე გაემგზავრება და მსოფლიოს სხვა საუკეთესო გუნდებს შორის, ინდუსტრიის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ჯილდოს მოსაპოვებლად იბრძოლებს.

◎ ელიტაში

ეს დიდი პატივია

ესპანური „ბასკონიას“ კაპიტნის თორნიკე შენგელიას მორიგი აღიარება! ქართველი კალათბურთელი ევროლიგის სეზონის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. აღნიშნულ ინფორმაციას ევროლიგის ვებ-გვერდი ავრცელებს.

სანამ უშუალოდ ფაქტზე გიამბობდეთ, გეტყვით, რომ შარშანდელი ხუთეულიდან წარმოდგენილი მხოლოდ ნანდო დე კოლოა, ხოლო შენგელია, ლუკა დონჩიჩი და ნიკ კალატესი პირველად მოხვდნენ საუკეთესო ხუთეულში.

აღნიშნული სიმბოლური ჟურნალისტებისა (75%) და გულშემატკივართა (25%) გამოკითხვის შედეგად იქნა შედგენილი, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება:

ნიკ კალატესი („პანათინაიკოსი“), ნანდო დე კოლო (ცსკა), ლუკა დონჩიჩი („რეალი“), თორნიკე შენგელია (“ბასკონია“), იან ვესელი („ფენერბახჩე“).

„თორნიკე შენგელიამ თავის კარიერაში საუკეთესო სეზონი ჩაატარა და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა „ბასკონიას“ ისტორიაში პირველად პლეი-ოფში გასვლაში. ბასკებმა პლეი-ოფში გაღწევა 0-4 სტარტის შემდეგ მოახერხეს.

შენგელია არამარტო თავის გუნდს ლიდერობდა, არამედ კარიერის რეკორდი დაამყარა მოხსნების მიხედვით. ქართველი საშუალოდ თამაშში 13.7 ქულას აგროვებდა, რაც მძიმე ფორვარდებს შორის საუკეთესო მაჩვენებელი გახლდათ, მარგი ქმედების საშუალო კოეფიციენტი 18.2 იყო, რაც მისი კარიერის საუკეთესო შედეგია, ხოლო მოხსნებმა 6.1 შეადგინა და ეს ლიგაში მესამე მაჩვენებელია.

„ბასკონიას“ ლიდერმა ჩინებულად ითამაშა შეტევაში და ორქულიანების 61.4% ჩააგდო. ამასთან, საშუალოდ 2.2 პასით ასრულებდა შეხვედრას და თამაშობდა კარიერის ყველაზე მეტ დროს — 25:29 წუთი საშუალოდ. ორმაგი დუბლი 6-ჯერ შეასრულა და ესეც სეზონის საუკეთესო შედეგია. შენგელია ორჯერ გახდა ტურის MVP — ესეც კარიერაში პირველად შეძლო (ევროლიგაში ორჯერ ტურის საუკეთესო მოთამაშე). პირველად ეს მე-14 ტურში მოხდა, როდესაც 24 ქულა მოაგროვა „ბარსელონასთან“, ხოლო მეორედ 24-ე ტურში, როდესაც 15 ქულითა და 15 მოხსნით „ხიმკისთან“ გაისარჯა დიდებულად. თორნიკე გახდა ევროლიგის მარტის თვის MVP, როდესაც „ბასკონიამ“ ზედიზედ 6 თამაში მოიგო და ევროლიგაში ერთი თვის განმავლობაში საუკეთესო სერია დააფიქსირა. შენგელია, რომელიც მეხუთე სეზონს ატარებს ევროლიგაში („აქედან ოთხი „ბასკონიაში“), პირველად მოხვდა სეზონის საუკეთესო ხუთეულში“, — წერს ევროლიგის ოფიციალური ვებ-გვერდი.

შეგახსენებთ, რომ „ბასკონია“ პლეი-ოფში გავიდა, მაგრამ ოთხთა ფინალს ვერ უწია, რადგან მოქმედ ჩემპიონ „ფენერბახჩესთან“ სერია 1:3 წააგო. თორნიკე შენგელიას საერთო სტატისტიკა ასეთი გამოდგა:

33 თამაში, 841:15 წუთი, 451 ქულა, 200 მოხსნა (147 დაცვაში, 53 შეტევაში), 72 პასი, 26 ჩაჭრა, 18 დაფარება, 601 მარგი ქმედების კოეფიციენტი, ორქულიანი: 154/251, სამქულიანი: 15/46, საჯარიმო: 98/144.

საშუალოდ: 25:29 წუთი, 13.7 ქულა, 6.1 მოხსნა, 2.2 პასი, 0.8 ჩაჭრა, 0.5 დაფარება, 18. მარგი ქმედების კოეფიციენტი, ორქულიანი 61.4%, სამქულიანი 32.6%, საჯარიმო 68.1%.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ლეგიონერი

საგოლე პასიც, ტრავმაც

ბელგიის იუპერლიგაში გიორგი ჩაკვეტაძეს თან წარმატებული და თან უიღბლო დღე ჰქონდა. ქართველმა ფეხბურთელმა „გენკთან“ საგარეო მატჩი ძირითად შემადგენლობაში დაიწყო და მე-15 წუთზე ანგარიში რომ გაიხსნა, მისი დამსახურებაა.

18 წლის ჩვენებურმა მეტოქეს ბურთი მოპარა და მერე კარის წინ ეულად მდგომ იუია კუბოს საგოლედ უპასა.

რაც შეეხება უიღბლობას, 33-ე წუთზე იგი ტრავმის გამო შეცვალეს. გიორგიმ საკუთარი ფეხით, მაგრამ კოჭლობით დატოვა მოედანი და ამ ეტაპზე უცნობია დაზიანების სიმძიმე.

მეორე ტაიმში კი „გენკმა“ გაიტანა და მატჩი ფრედ — 1:1 დასრულდა. საგულისხმოა, რომ სტუმრებმა შეხვედრა 9 კაცით ჩაამთავრეს, რადგან როსტედი და დეიაგერე მინდვრიდან გააძევეს. „გენტს“ საჩემპიონო ზონაში 33 ქულით მეოთხე ადგილი უკავია და ევროპა ლიგაზე მოსახვედრად იბრძვის.

გიორგის მიმდინარე სეზონში იუპერლიგაში 18 მატჩი (4 ძირითადი შემადგენლობიდან), 1 გოლი და 2 საგოლე პასი დაუგროვდა.

გიორგი შოთაძე

◎ ლეგენდა

პრის მორიგი რეკორდი!

მსოფლიოს ნომერ პირველმა ჩოგბურთელმა რაფაელ ნადალმა მადრიდის მასტერზის 1/8-ფინალში დიეგო შვარცმანი 6:3, 6:4 დაამარცხა. ესპანელს ზედიზედ 50 მოგებული სეტი დაუგროვდა, რითაც ჯონ მაკინროის (ზედიზედ 49 მოგებული სეტი) რეკორდი გააუმჯობესა.

კორტის მასპინძლისა და არგენტინელის შეხვედრა საათსა და 44 წუთს გაგრძელდა. ორივე პარტიაში შვარცმანი უშანსოდ იყო. 1/4-ფინალში მალიორკელი ავსტრიელ დომინიკ ტიმს შეხვდება. ურთიერთშეხვედრებში ნადალი მეტოქეს 6:2-ს უგებს.

კობა კობახიძე

◎ „გაჭრა“

„მადლობა, მაგრამ... წავედი“

სპორტის ზამთრის სახეობებში ერთ-ერთი ულამაზესი, უდავოდ, ფიგურული სრიალია, ხოლო მასში კიდევ უფრო მომხიბლავი — ქალთა გამოსვლები.

რუსეთს ფიგურული სრიალის უამრავი ჩინებული სპორტსმენი და მწვრთნელი ჰყავს, რომელთა შორის უდავოდ გამორჩეულია ჩვენი თანამემამულე **ეთერი თუთბერიძე**. სწორედ მისი აღზრდილები არიან მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონი **ალინა ზაგიტოვა** და ვერცხლის მედალოსანი **ევგენია (ჟენია) მედვედევა**, რომელმაც კარიერა თავისი ნამდვილი გვარით — ბაბასიანით დაიწყო.

18 წლის მედვედევამ ეთერი თუთბერიძესთან ვარჯიში შვიდი წლის წინათ დაიწყო და წლევანდელ კორეულ პიონჩანგის ოლიმპიადაზე მეორე ადგილი აიღო, რომელიც თავისსავე ჯგუფის აღსაზრდელის ალინა ზაგიტოვის გაჩემპიონების ფონზე, როგორც ჩანს, გარკვეულწილად წარუმატებლობად აღიქვა. შედეგად ორი უდავოდ ნიჭიერი მოციგურავის ქართველი მწვრთნელის ჯგუფში ერთად ყოფნა აშკარად შეუძლებელი გახდა.

ეს უნდა იყოს, როგორც ჩანს, ევგენია მედვედევას საჯარო განცხადების მამოძრავებელი ზამბარა, რომელმაც, მართალია, მადლობა გადაუხადა ქალბატონ ეთერი თუთბერიძეს გაწეული მუშაობისთვის“, თუმცა შემდეგ დააყოლა, რომ მისი სხვა მწვრთნელთან გადასვლა „ორივესთვის პატიოსანი მუშაობის ერთადერთი შესაძლებლობაა“(?! — **ნ.ა.**). ამიერიდან ჟენია მედვედევა საცხოვრებლად და სამუშაოდ კანადაში გადადის, სადაც მისი მწვრთნელი **ბრაიან ორსერი** იქნება, რომელიც, მედვედევას განმარტებით, მას „ახალი შესაძლებლობებისა და სავარჯიშო პროცესში სხვა მეთოდიკების გამოყენების შესაძლებლობას მისცემს“.

ნინო ალექსანდრია

◎ უმაღლესი სკოლა

სადაც სპორტს აფასებენ

(მხარდამჭერი — თსსუ სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორი ზაურ ფხალაძე, მთავარი მსაჯი — ამავე ცენტრის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე ვახტანგ ბაქანიძე).

20 გუნდის მონაწილეობით გამართული ასპარეზობა ერაყული ფინალით დაგვირგვინდა: „რაფიდიენი“ — „სალაჰალდინი“ 0:0 (პენალტებით — 3:1). მესამე ადგილი ნიგერიელებს ხვდათ. სწორედ ამ გუნდის წევრი სალამო უმარტი გახდა 14 გატანილი ბურთით მემორიალის **ბომბარდირი**. რაც შეეხება დანარჩენ ინდივიდუალურ პრიზებს, მათ ფინალისტთა წარმომადგენლები დაეუფლნენ: **საუკეთესო მეკარე** — ომარ ტარეკი („რაფიდიენი“), **საუკეთესო ფეხბურთელი** — მონთაზარი („სალაჰალდინი“).

ბეჟან დოლიძე

სასწავლო წლის ფინიში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, ტრადიციისამებრ, ამაგდარ საფეხბურთო მოღვაწეთა მემორიალით აღინიშნა. ამჯერად უცხოენოვანი ფაკულტეტის (სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ალი აჰმედ ალ ჰუსეინი) სტუდენტებმა ერაყიდან, ნიგერიიდან, თურქეთიდან, სირიიდან, ეგვიპტიდან, გაიანიდან, ინდოეთიდან და შრილანკიდან სამკვირიანი ტურნირი საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელთა — გოგი მამალაძის, ვოვა ელოშვილისა და ჯუმბერ თანანაშვილის ხსოვნას მიუძღვნეს

◎ ინტერნეტიდან

გზა კალათბურთიდან ეკრანისკენ

ცნობილი ტელეწამყვანი, მსახიობი და ფიზიოთერაპევტი აკაკშა სინგია ინდოეთის სპორტული სამყაროსთვისაც მეტად შინაური ვინმეა, რადგან თავის დროზე პროფესიონალურ დონეზე თამაშობდა კალათბურთს და ეროვნული ნაკრების წევრიც კი იყო.

ეს სახეობა ამ გოგონასთვის დღესაც მნიშვნელოვანი რამაა და გარდა იმისა, რომ თავადაც მუდმივად ბურთაობს, სხვადასხვა რანგის შეხვედრებსაც ხშირად ესწრება და ისეთი კოხტა და შორსმიმავალი დასკვნები გამოაქვს, სპორტში ჯიგრიანად ჩახედულ ბევრ ექსპერტს რომ შეშურდება.

აკაკშა სინგია ბოლო დროს ინდურ სატელევიზიო სერიალებშია გადაჭრილი და ამ კატეგორიის ფილმების მოყვარულმა ქართველმა დიასახლისებმა მის შესახებ არაა გამორიცხული, რომ შეიძლება იცოდნენ კიდეც. ცოტა ადრე რომ დაბადებულიყო, ვინ იცის, შეიძლება რაჯ კაპურის პარტნიორიც კი ყოფილიყო...



წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა ანდრია პირველწოდებულისა, საქართველოში ქრისტეს პირველქადაგებელისა

12 მაისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ანდრია პირველწოდებულის ხსენებას.

ყველასთვის ცნობილია, რომ ანდრია პირველწოდებული იყო ქრისტეს პირველი მოწაფე, ამიტომაც ეწოდა მას პირველწოდებული. მანვე დაუმოწაფა ქრისტეს თავისი ძმა — პეტრე, შემდეგში — მოციქულთა თავი. ანდრია და პეტრე წარმოშობით ბეთსაიდიდან იყვნენ, ხელობით მებადურნი. თავდაპირველად ანდრია იოანე ნათლისმცემელს დაემოწაფა, იოანე ღვთისმეტყველთან ერთად სწორედ მათ ეჩვენა იესო ქრისტე და ამცნო, რომ ისაა ძე ღმრთისა.

საგულისხმოა ისიც, რომ სულიწმინდის გარდამოსვლის შემდეგ, მოციქულებმა წილი ყარეს, თუ ვის რომელ ქვეყანაში უნდა ექადაგა. წმიდა ანდრიას წილად ხვდა შავი ზღვისპირა ქვეყნები, მათ შორის საქართველო, ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთი ნაწილი და სკვითია, ანუ მიწა, რომელზეც შემდეგ რუსეთი წარმოიქმნა.

აღსანიშნავია, რომ სიმონ კანანელთან და მატათასთან ის საქართველოს განმანათლებლად ითვლება.

* * *

13 მაისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესია აღნიშნავს ბრმის კვირიაკეს აღდგომიდან VI კვირას.

გიული ლიპარტია

არჩილ ტატუნაშვილის ცხედრის ექსპერტიზა

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო არჩილ ტატუნაშვილის ცხედრის ექსპერტიზის პროცედურებთან დაკავშირებით განმარტებას აკეთებს.

„სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ეხმაურება 10 მაისს ტვ პირველის ეთერში, გადაცემა „რეაქციაში“, არჩილ ტატუნაშვილის ექსპერტიზასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს.

პირველ რიგში, გვინდა განვაცხადოთ, რომ არჩილ ტატუნაშვილის გარდაცვალება ისეთივე ტრაგედიაა ექსპერტიზის ბიუროს თითოეული თანამშრომლისთვის და ექსპერტისთვის, როგორც საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის.

რამდენიმე განმარტება გვინდა, გავაკეთოთ ექსპერტიზის პროცედურებთან დაკავშირებით. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე, რეზონანსულ საქმეებთან დაკავშირებით ხშირად და განსაკუთრებით ბოლო პერიოდში საზოგადოების მიერ ისმის კითხვები, თუ რატომ არ მზადდება „პირველადი“, „შუალედური“ დასკვნები.

ექსპერტის დასკვნა არის სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირის (ექსპერტის) მიერ შესაბამისი კვლევის ჩატარების სა-



ფუძველზე მომზადებული წერილობითი დოკუმენტი, რომელიც პასუხს იძლევა ექსპერტის წინაშე დასმული კითხვების თაობაზე. აღნიშნული კი შესაძლებელია, მხოლოდ საჭირო კვლევების სრულად დასრულების შემთხვევაში. ექსპერტიზა ტარდება დამკვეთის მიერ წარმოდგენილ მასალაზე დაყრდნობით. ამდენად, არ არსებობს „პირველადი“, „შუალედური“ ექსპერტის დასკვნები. ექსპერტიზის პროცესში საჭირო კვლევების სრულად დასრულების და გაანალიზების შემდგომ მზადდება ექსპერტის დასკვნა. ექსპერტის დასკვნის დასრულების შემდგომ დამკვეთის მოთხოვნით შესაძლებელია დაინიშნოს დამატებითი ან განმეორებითი ექსპერტიზა.

ასევე, გვინდა განვმარტოთ, რომ ექსპერტიზის დასკვნა ეკუთვნის დამნიშნავს. გამოძიების ფარგლებში დანიშნული ექსპერტიზების დასკვნა ეკუთვნის საგამოძიებო ორგანოებს. ლ. სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო არ არის უფლებამოსილი რაიმე სახის განმარტება, კომენტარი გააკეთოს საჯაროდ კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით, ან ექსპერტიზასთან დაკავშირებული ინფორმაცია გადასცეს არადამნიშნავ პირს/ორგანიზაციას კანონით დადგენილი შემთხვევების გარდა.

გვინდა, ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტები არიან ძალიან მაღალი კლასის პროფესიონალები, მაგრამ პირველ რიგში არიან საქართველოს მოქალაქეები, მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანები და ყველა ის საკითხი, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი თანამოქალაქეებისთვის, ასევე მნიშვნელოვანი, მტკივნეული და პრიორიტეტულია ბიუროს ექსპერტებისთვისაც.

კიდევ ერთხელ დიდ გულისტკივილს გამოვთქვამთ არჩილ ტატუნაშვილის ტრაგიკული დაღუპვის გამო და ჩვენი მხრივ გვინდა, დავარწმუნოთ საზოგადოება, რომ როგორც ამ შემთხვევაში, ისევე სხვა ექსპერტიზების მიმართ ბიუროს ექსპერტები თავისი მაღალი პროფესიონალიზმის გათვალისწინებით აკეთებენ ყველაფერს, რათა მოამზადონ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, უტყუარი და მაღალკვალიფიციური ექსპერტიზის დასკვნები“, — ნათქვამია ექსპერტიზის ბიუროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მსოფლიო ლიდერის მანტია უნდა ჩაიცვან ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა

აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, გამოსულიყო ირანის ატომური ხელშეკრულებიდან, აუცილებელი გახდა გლობალური ლიდერის როლის დაკისრების შესახებ საკითხის დაყენება. განაცხადა ევროკომისიის თავმჯდომარემ ჟან-კლოდ იუნკერმა. მანვე განმარტა, რომ აშშ „აღარ აპირებს თანამშრომლობას“ სხვა სახელმწიფოებთან და ზურგს აქცევს მეგობრულ ურთიერთობებს „ისეთი სიცხადით“, რომ შეუძლებელია, არ გაოცდე.

„ჩვენ უნდა ჩავანაცვლოთ აშშ, რომელმაც, როგორც საერთაშორისო სუბიექტმა, დაკარგა ძალები. შესაბამისად, დაკარგა გავლენა გრძელვადიან პერსპექტივაში“, — აცხადებს იუნკერი.

უკრაინას შეუძლია რუსეთის ქონება წაართვას

შვედმა ეკონომისტმა და დიპლომატმა ანდერს ოსლუნდმა, რომელიც არის ექსპერტი აღმოსავლეთ ევროპის საკითხებში, კომენტარი გაუკეთა ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილებას, დაავალდებულოს რუსეთი, კომპენსაცია გადაუხადოს უკრაინას ყირიმში დაკარგული აქტივების გამო.

„ეს არის დიდი გამარჯვება უკრაინული საწარმოებისთვის“, — წერს დიპლომატი Twitter-ზე. მან ასევე უპასუხა ერთ-ერთი მომხმარებლის მიერ დასმულ კითხვას, თუ როგორ უნდა მომხდარიყო რეალიზაცია. ოსლუნდმა მოიხსენია ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია. **„გამარჯვებულ მხარეს აქვს სახელმწიფო საკუთრების გასხვისების უფლება მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში“,** — აღნიშნა დიპლომატმა. მისი თქმით, პროცესის სამართლებრივი ხარჯების ღირებულების მიუხედავად, კონვენცია რეალურად მუშაობს.

მედიკამენტების გაიაფების ნამდვილი გზა თუ ფუჭი მცდელობა

საქართველოს მოქალაქეები მედიკამენტების საყიდლად თურქეთში ხშირად მიდიან. ეს იმიტომ, რომ ჩვენთან წამლები 2-3-ჯერ უფრო ძვირი ღირს. ჯანდაცვის სამინისტრო მხოლოდ ახლა იწყებს სერიოზულ მუშაობას მედიკამენტების გასაიაფებლად, მაგრამ რა გამოვა ამ საქმიდან, ეს კიდევ სხვა საკითხია.

ბათუმელმა კობა ფარტენაძემ განაცხადა, რომ კონკრეტული წამალი თურქეთში სამჯერ უფრო იაფად იყიდა, ვიდრე ეს საქართველოში ღირს. მომხმარებლები ამბობენ, რომ თურქეთში მედიკამენტის ხარისხიც უკეთესია.

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო განმარტავს, თუ რატომ ღირს თურქეთში მედიკამენტები უფრო იაფი, ვიდრე საქართველოში. მინისტრის აზრით, დაბალ ფასს ბაზრის სიდიდე და ფარმაწარმოებაში სახელმწიფოს მონაწილეობა განაპირობებს.

„როდესაც ჩვენ 2007 და 2010 წლებში, უბრალოდ, ძალიან მარტივად მივიღეთ პრივატიზაციებზე გადაწყვეტილება, ჩვენგან განსხვავებით თურქეთი ძალიან ჭკვიანურად მოიქცა, იქ მძლავრი სახელმწიფო საპირწონეები დატოვა როგორც კლინიკებში, ისე ფარმაწარმოებაში. მეორე ის, რომ თურქეთი მოსახლეობის მხრივ საკმაოდ დიდ ბაზარს წარმოადგენს და სახელწიფოს მძლავრი ჩართვის გამო, თურქეთს საერთაშორისო მწარმოებლებთან აქვს მოლაპარაკება, რომ მათ გააკეთონ ე.წ. წარმოების ლოკალიზაცია, ანუ სხვა ქვეყნების დიდმა ფარმაკომპანიებმა აწარმოონ თურქეთში და ეს ხარჯებს მნიშვნელოვნად ამცირებს“, — აღნიშნა სერგეენკომ.

ამისთვის საქართველოში ფუძნდება არასამეწარმეო იურიდიული პირი — „პარტნიორობა ხელმისაწვდომი ჯანდაცვისთვის“. მისი უმთავრესი ამოცანა, მოსახლეობის სოციალურად მოწყვლადი ნაწილისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდაა.

ამასთან, მინისტრის განცხადებით, **გაფართოვდება პროგრამა, რომელიც შარშან მაისში დაიწყო და 100 ათას ქულაზე ნაკლების მქონე სოციალურად დაუცველებს ემსახურება — მათ არაუმეტეს 1 ლარის ღირებულებით, 23 მედიკამენტით უზრუნველყოფს.** სერგეენკოს თქმით, პროგრამით მოსარგებლეებს დაემატებიან პენსიონერები და შშმ პირები.

„თუმცა ამ ეტაპზე, სამწუხაროდ, წამლის გაცემა 1 ლარად არ მოხდება, მაგრამ ამოცანაა, რომ მაქსიმუმ ნახევარი დახარჯონ იმასთან შედარებით, რაც ახლა ეხარჯებათ მედიკამენტებზე. იმედი მაქვს, მაისის ბოლოსკენ ან ივნისის დასაწყისში, პენსიონერებზე და შშმ პირებზე დაემატება მეორე ტიპის მართვის დიაბეტი, გულის უკმარისობა, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები. ვვარაუდობთ, შემოდგომისთვის ეს 23 კომპონენტი გაუტოლდება ერთმანეთს არსებული სოციალურად დაუცველებისა და ახალი მოსარგებლეებისთვის, ხოლო მომავალი წლის დასაწყისიდან 23 კომპონენტი ორივე ჯგუფისთვის უნდა გახდეს 40 ან 45, 50-მდე“, — განაცხადა სერგეენკომ.

ჯერჯერობით ამ ყველაფერს ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტები სიფრთხილით განიხილავენ. მედიკამენტებზე არსებულ მაღალ ფასებზე და სახელმწიფოს მხრიდან შესაძლო რეგულაციებზე ამახვილებს ყურადღებას ექსპერტი ირაკლი სასანია.

„თუ ეს იდეა განხორციელდა, იგი იქნება ძალიან მნიშვნელოვანი წამოწყება და მას რაც მთავარია, ექნება ორმაგი ეფექტი. პირველი — მოსახლეობის დიდ ნაწილს შეუმსუბუქებს ფინანსურ ტვირთს და მეორე — გარკვეული ზეწოლა განხორციელდება ფარმაცევტულ კომპანიებზე.

საზღვარგარეთ ფარმაცევტული კომპანიები მედიკამენტებზე ფასებს მას შემდეგ განსაზღვრავენ, რაც გაითვალისწინებენ მოსახლეობისა და სავარაუდო პაციენტების რაოდენობას, ისინი ატარებენ კლინიკურ კვლევებს, ჩართული არიან ამ პროცესში მკვლევარები, ითვალისწინებენ სარეკლამო ხარჯებს და ა.შ.

საქართველოში რა პრინციპით ხდება მედიკამენტებზე ასეთი მაღალი ფასების დაწესება, ჩემთვის გაურკვეველია. მედიკამენტებზე ფასების ზრდის ერთადერთი შემაკავებელი და მარეგულირებელი სახელმწიფოა. ამდენად, აღნიშნულმა ინიციატივამ უნდა აიძულოს ფარმაცევტული კომპანიები, დასწიონ მედიკამენტების ღირებულება“, — განუცხადა „კომერსანტს“ სასანიამ.

ბექა დანელია

ს.ს.ი.პ – წიაღის ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო ელექ-ტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქ-ციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202482571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება მდინარის კალაპოტიდან უნდა მოხდეს სპეციალური მიწამწოვი ტექნიკა-დანადგარების საშუალებით. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს გზის აღდგენითი სამუშაოები. დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონები და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი სხვა პირობები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. საქორქიოს მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონის ქვიშის გამოვლინება (კატეგორია - P , მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა სამივე უბანზე - 66 750 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. საქორქიოს მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	44 751 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	4 475,1 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს 10 % თანხის ოდენობა + 200 ლარი	4 675 ლარი
	სალიცენზიო მოსაკრებელი	
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 14 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 12 ივნისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 12 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 12 ივნისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 2

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს გზის აღდგენითი სამუშაოები. გ)ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭალადიდის მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონის ქვიშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 69 240 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭალადიდის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	46 421 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	4 642,1 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	4 842 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 14 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 12 ივნისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 12 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 12 ივნისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 3

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით. გ) ლიცენზიანტმა სალიცენზიო ობიექტიდან რესურსის ტრანსპორტირება განახორციელოს დაბალი ტვირთამწეობის (არაუმეტეს 6 მ³) სატრანსპორტო საშუალებებით. დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფ. მუხურის მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონის ქვიშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 4 515 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფ. მუხურის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	3 926 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	392,6 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს 10 % თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	593 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 14 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 12 ივნისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 12 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 12 ივნისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 4

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202482571
2	მისამართი/ტელეფონი	ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქალაქი ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.

		გ) ინერტული მასალის მოპოვება ობიექტის მთელ ფართობზე ყოველწლიურად არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მეტრს (სიმძლავრე). დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასრგებლო წიაღისეულის მოპოვებისას საფრთხე არ შეუქმნას კურორტ ლაშიჭალამდე მისასვლელ გზას. ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი სხვა პირობები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ორბელის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ლაჯანურის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 494 820 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ორბელის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	331 743 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	33 174,3 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს 10 % თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	33 374 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 14 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 12 ივნისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 12 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 12 ივნისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №5		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით. გ) მდინარის კალაპოტიდან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს სპეციალური მიწამწოვი ტექნიკა-დანადგარების საშუალებით, ხოლო ჭალის ტერასიდან - სათანადო ტექნიკის გამოყენებით. დ)რკინიგზის ხიდთან საფრთხემქმეველი ცვლილებების გამოვლენის შემთხვევაში, სს „საქართველოს რკინიგზა" იტოვებს უფლებამოსილებას მოითხოვოს ინერტული მასალების მოპოვების შეჩერება.; ე)ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ. მარანის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ცხენისწყლის ქვიშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 55 800 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ. მარნის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	39 827 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	3 982,7 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 14 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 12 ივნისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 12 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 12 ივნისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	4 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 6		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით. გ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს. დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარციხის მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 200 400 მ³).
